*დანართი №5*

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **ნინო შიუკაშვილი** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;)

**წევრები:**
**მაია ბერიანიძე** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი
**ნათია იასაღაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)**
**ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)**
**ნონა ლაგვილავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)**
**მანანა სეხნიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)**
**ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)**
**მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)**
**მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)**
**ქეთევანი ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)**
**ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)**

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 239885781 |

### II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | სენაკის მუნიციპალიტეტი |
| ფაქტობრივი მისამართი | სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელ კოტიანეთი |
| საფოსტო ინდექსი | 4100 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/1670?schoolName |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | kotianeti@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 595005177 |

### III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 2026 წლის , 15 აპრილის, MES 9 26 0000437255 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2-3 ივნისი , 2026წ. |

### IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | დაწყებითი | ქართული | სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელ კოტიანეთი<br>1 შენობა-ნაგებობა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის , 15 აპრილის, MES 9 26 0000437255 გრძანების საფუძველზე განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი* ***სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლაში*** *ავტორიზაციის დებულების ( მე-20 მუხლის) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.*

*ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის ექსპერტების ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.*

*ვიზიტის პერიოდში სკოლის დირექტორი იმყოფებოდა უხელფასო შვებულებაში. სკოლაში მიმდინარე პროცესებს ხელმძღვანელობდა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი .*

*ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში. ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლის სკოლის მატერიალური რესურსიც.*

*საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ დისტანციურად გასაუბრებოდნენ პედაგოგებს საგნობრივი კათედრების მიხედვით და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.*

*ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.*

*ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო მოთხოვნილი მტკიცებულებების წარმოდგენა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, ვიზიტის დასასრულს კი წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის .*

### *VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ*

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

### VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br><br>70 | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი | *ხარვეზი* |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N 3.1.2.4.* | *პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს* | *სკოლამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადაში(2026 წლის ივნისი 2026წლის სექტემბერი) უზრუნველყოს ტექნოლოგიების სერტიფიცირებული პედაგოგის აყვანა.* |
| *ინდიკატორი N 3.4.1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-* | *სკოლამ უზრუნველყოს ჭის დალუქვა და მაღალი ჯებირით შემოსაზღვრა - შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში , 2026 წლის ივნისი - 2026 წლის სექტემბერის პეროიოდში .* |

**1** გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | *ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)* | |
| *ინდიკატორი N 3.4.1.3* | *სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას* | ***სკოლამ უზრუნველყოს სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება - შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 2026 წლის ივნისი - 2027 წლის ივნისის პერიოდში .*** |
| ინდიკატორი N 3.5.1.4. | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; | ***სკოლამ უზრუნველყოს შენობაში შესასვლელი პანდუსის დამონტაჟება შესამამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში, 25.02.2026 __ 22.02.2027წ.-მდე.*** |
| | | |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი N 2.2.24* | *სკოლას ჰყავს კანონმდებლობ მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმ განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი* | ***სკოლამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის ივნისი2026წლის სექტემბერი) უზრუნველყოს ტექნოლოგიების სერტიფიცირებული პედაგოგის აყვანა.*** |

**V. რჩევა**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.2.1.1.* | სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა | **რჩევა : სასურველია, შემდეგში სკოლამ გამიჯნოს სამუშაო და მონიტორინგის ჯგუფები, გამომდინარე იქიდან რომ მათ სხვადასხვა ფუნქციები აქვთ.**<br>**ასევე , სასურველია , რომ იგივე სამუშაო და მონიტორინჯის ჯგუფებში იგივე შემადგენლობა არ იყოს, რადგან სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მინიტორინგის პროცესში დაცული იქნეს ობიექტურობა.** |
| | | |
| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N4.1.2.3* | *სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი* | **სასურველია , გაიწეროს კლუბების / წრეების სამუშაო გრაფიკი, განისაზღვრ კონკრეტული დღეებია და საათები.** |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N* | **სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N 2.1.2.1* | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის** | **სახელმწიფო ენა :**<br>✓ სასურველია,<br>• შემუშავებული იყოს კურიკულუმის ერთნაირი ჩარჩო; |

| | | |
|---|---|---|
| | **დაგეგმვისა და განვითარების გზას** | • კურიკულუმს თავში მიეთითოს სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა(ორივე);<br>• თითოეულ თემაზე ყველა ცნება დამუშავდეს, ამიტომ კურიკულუმში თითოეულ თემაზე მიეთითოს ყველა ცნება(მაგ. 1-ელ კლასის კურიკულუმში არ არის ცნებები გრამატიკა(პრაქტიკული), კოდირება-დეკოდირება; მე-2 კლასის კურიკულუმში არ არის ცნება გრამატიკა);<br>• საკითხი, შემოქმედებითი დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითი, რესურსები გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. საკითხი იყოს სახელდებითი ფორმით, თუ რა უნდა ისწავლოს მოსწავლემ (მაგ. პერსონაჟის დღიურის შექმნა მოთხრობა „იას“ მიხედვით), ხოლო შემოქმედებითი დავალების იდეაში დაიწეროს შემოქმედებითი დავალების პირობა კრიტერიუმებამდე;<br>• კონტექსტ მაგალითში ჩაიწეროს რაზე დაყრდნობითაც ასწავლით, იმ რესურსის/ტექსტის მხოლოდ სათაურები<br>• გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი რესურსები.<br>• შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა. მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში, თითოეულ ცნებასთან მიმართებით, რა ფასდება დავალებაში;<br>• ისგ- ში, მოსწავლის პროგრესის შეფასებაში(მიღწევის აღწერაში) ნაცვლად იმისა, რა უნდა ისწავლოს/შეძლოს მოსწავლემ, უნდა ჩაიწეროს, თუ რა ისწავლა/შეძლო მან განვლილ სემესტრში.<br><br>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სასურველია, ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება შესაბამისი აქტივობებით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** |

| | | |
|---|---|---|
| | | დაწყებით საფეხურზე საგან მე და საზოგადოებაში სასურველია შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება მოხდეს საკითხთან მიმართებაში.<br><br>„ჩვენი საქართველოს" საგნის ფარგლებში სასურველია შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება ისე მოხდეს, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკითხების მექანიკური გაერთიანება და განისაზღვროს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები და შემოქმედებითი დავალებების პროდუქტი. |
| ***ინდიკატორი***<br><br>***N 2.1.2.2*** | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | ***სახელმწიფო ენა:***<br><br>სასურველია, რომ სახელმწიფო ენის კათედრამ ყველა კლასის კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება.<br><br>**მათემატიკა:**<br>სასურველია, მე-3 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები დასაზუსტებელია ესგ-ს მიხედვით თემებთან მიმართებაში.<br><br>**დაწყებითი საფეხური:**<br><br>სასურველია, კათედრამ, ქართული ენის საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; საკითხი და დავალების იდეა ერთსა და იმავეს წარმოადგენს, ასევე, საკითხთა კლასტერი და მაგალითები შედარებისთვის არ არის საჭირო.<br><br>ბუნებისმეტყველების საგნობრივი მიმართულებით **კურიკულუმებში სწორად აისახოს სახელმძღვანელოს ავტორები.** ესგ–ს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებები დაზუსტდეს, თითოეულ თემაში აისახოს ყველა სამიზნე ცნება. |

| | | |
|---|---|---|
| | | მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი მიმართულებით, თემები და საკითხები დაზუსტდეს კლასების მიხედვით, საათების რაოდენობა აისახოს თემებში.<br><br>სასურველია, ყველა საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმებს თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.<br><br>სასურველია, კურიკულუმებში აისახოს იმდენი შემოქმედებითი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.<br><br>. |
| ***ინდიკატორი***<br><br>***N 2.1.2.3*** | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* | ***სახელმწიფო ენა:***<br><br>სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ სასწავლო პროცესში გამოიყენოს მრავალ-ფეროვანი რესურსი.<br><br>**დაწყებითი შაფეხური:**<br>სასურველია, ყველა საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმები გამდიდრდეს მრავალფეროვაანი მატერიალური და ელექტრონული რესურსებით. |
| ***ინდიკატორი***<br><br>***N 2.1.2.5*** | 5მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:***<br><br>სასურველია, ყველა კლასსა და საგანში შეიქმნას როგორც განმსაზღვრელი (V და VI კლასები), ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის შეფასების ინდიკატორებს, კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები კი - დავალების პირობებში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს/მოთხოვნებს.<br><br>**სახელმწიფო ენა :** |

| | | |
|---|---|---|
| | | სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრა შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნოს იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით, რა ფასდება დავალებაში.<br><br>**დაწყებითი საფეხურის:**<br>სასურველია, კურიკულუმებს, ყველა საგნობრივი მიმართულებით, თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით. |
| ***ინდიკატორი N 2.2.1.1*** | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად | ***დაწყებითი საფეხურის:***<br>სასურველია, კურიკულუმებში აისახოს იმდენი შემოქმედებითი დავალება, რამდენსა<br>რეალურად განახორციელებენ. |
| ***ინდიკატორი N 2.2.1.3*** | 3შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:***<br>კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებ<br>შექმნისას სასურველია დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმებისა და მოთხოვნებ<br>გათვალისწინება. |
| ***ინდიკატორი N 2.2.2.1*** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:***<br><br>სასურველია, კურიკულუმებში დაემატოს დამხმარე რესურსები.<br><br>**ესთეტიკური აღზრდა:**<br><br>სასურველია კურიკულუმებში აისახოს დამატებითი დამხმარე რესურსები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას.<br><br>**დაწყებითი საფეხური:** |

| | | |
|---|---|---|
| | | სასურველია, ყველა საგნობრივი მიმართულებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას მრავალფეროვაანი მატერიალური და ელექტრონული რესურსები. |
| *ინდიკატორი N 2.2.2.3* | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:***<br><br>სასურველია, კურიკულუმებში აისახოს დამატებითი სასწავლო რესურსები. |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

*სკოლამ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დანართები.*
*დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის არგუმენტირებული პოზიციას და შესაბამისად, რიგი მტკიცებულებისა და არგუმენტებისა არ იქნა გაზიარებული , შესაბამისი ინდიკატორები საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც **„შეუსაბამო“** .*
*იმ ინდიკატორებთან მიმართებაში, რომელთა მოთხოვნის შესაბამისი მტკიცებულებები იმ ინდიკატორებთან მიმართებაში, რომელთა მოთხოვნის შესაბამისი მტკიცებულებები გაზიარებულ იქნა ექსპერტების მიერ საბოლოო დასკვნაში შეფასებული იქნა , როგორც **„მეტწილად შეესაბამება“**, წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად კი რიგი ინდიკატორებისა შეფასდა როგორც **„შეესაბამება“***

*I, III და IV სტანდარტების ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც "მეტწილად შეესაბამება"*

**ინდიკატორი**
**N 3.1.2.4 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან ვიზიტის პერიოდში სკოლას დასაქმებული ჰყავდა არასერტიფიცირებული პედაგოგები, რომელთა კველიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულს. კერძოდ, ტექნოლოგიების საათები შეთავსებული ჰქონდა რუსული ენის პედაგოგს, რომელიც ასევე ითავსებდა საქმისმწარმოებლისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციებს.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციისთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ ვაკანტური საათების შესავსების მიზნით , ასევე მტკიცებულებად დაურთო JOBS.ge -s პლატფორმის ფოტო .
აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფვრელად შესაბამისობის **გეგმაში მოთითებულია 2026 წლის ივნისი 2026 წლის სექტემბერს პერიოდი.**

ექსპერტები ითვალისწინებენ , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები, ხარვეზის აღმოსაფხვრელად გადადგა ქმედითი ნაბიჯები, ასევე იმ გარემოებას , რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი **N 3.1.2.4** შეფასდა, როგორც **მეტწილ შეესაბამება.**
**რეკომენდაცია:**
**სკოლამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადაში(2026 წლის ივნისი - 2026წლის სექტემბერი) უზრუნველყოს ტექნოლოგოების სეტიფიცირებული პედაგოგის აყვანა.**

**ინდიკატორი**
**N 3.4.1.1**
**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**
დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლა ვერ უზრუნველყოფდა სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, სკოლის ეზოში არსებული ჭა არ იყო დალუქული და შემოსაზღვრული იყო დაბალი ჯებირებით, რაც ,ექსპერტთა აზრით, **არ არის უსაფრთხო.**

**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად . სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადებად განსაზღვრულია :**

1. **ჭის დალუქვა -შემოსაზღვრა __ 2026 წლის ივნისი _ 2026 წლის სექტემბერი**

ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტ ები და შესაბამისად ინდიკატორი **N 3.4.1.1** შეფასდა, როგორც **მეტწილ შეესაბამება და აღნიშნულთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაცია.**

**რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს ჭის დალუქვა და მაღალი ჯეგირით შემოსაზღვრა - შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში , 2026 წლის ივნისი - 2026 წლის სექტემბერი .**

**ინდიკატორი**
**N 3.4.1.3 სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა მანდატური, ასევე არ ჰქონდა სამეთვალყურეო კამერები , რაც უზრუნველყოფდა შიდა და გარე პერიმერზე უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.
ასევე სკოლას არ ჰყავს მრჩეველთა საბჭო ,რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები .
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადად **განსაზღვრულია 2026წ.-ის ივლისი** . სკოლამ მითითებულ პერიოდში შეძლო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა და მტკიცებულებად წარმოადგინა **ბრძანება (10.07.2026წ. ბრძანება № 01-36) მრჩეველთა საბჭოს შექმნის** შესახებ.

**კამერების დამონტაჟებასთან** მიმართებაში შესაბამისობის გეგმაში გაწერილია აქვს ვადა **2026 წლის ივნისი - 2027 წლის ივნისის** პერიოდი.
სკოლამ წარმოადგინა რესურცენტრში გაგზავნილი წერილი (11/03.2026წ MES 0 25 0000264952)კამერების დამონტაჟებისთვის საჭირო თანხის გამოყოფასის მოთხოვნით და რესურცენტრიდან საპასუხო წრილი (14.03.2026წ.MES 3 25 0000278130), რომლის შინაარსშიც იკითხება, რომ იმ დროისათვის ,,ინფრასტრუქტურის განვითარების 2024 წლის სამოქმედო გეგმის" მიხედვით, არ
არის გათვალისწინებული სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლის ვიდეოკამერების შეძენა-მონტაჟის სამუშაოები და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ახალი სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნება სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლის ვიდეოკამერების საკითხის განხილვა.
ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტ ები და შესაბამისად ინდიკატორის **N 3.4.1.3** შეფასდა, როგორც **მეტწილ შეესაბამება და გაიცა რეკომენდაცია.**

რეკომენდაცია:
**სკოლამ უზრუნველყოს სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება -შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 2026 წლის ივნისი - 2027 წლის ივნისი .**

*I, III და IV სტანდარტების ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც "შეესაბამება".*

ინდიკატორი
N 1.2.1.2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორი დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც **შეუსაბამო,** გამომდინარე იქიდან , რომ ექსპერტთა ვიზიტისას სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებული იყო არა სამეურვეო საბჭოს მიერ , არამედ დირექტორის ბრძანებით (**2024 წლის 09 სექტემბრის № 2-37 ბრძანება),** ხოლო სკოლის მიერ წარმოადგენილ **სამეურვეო საბჭოს ოქმი № 1** (**05 სექტემბერი, 2024 წ.**) , იკითხებოდა, რომ მე-3 და მე-4 საკითხად მხოლოდ განხილული იყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და არ იყო მის მიერ დამტკიცებული .
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად . სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადებად განსაზღვრულია 30.06.2026- 30.06.2026 პერიოდი. სკოლამ მითითებულ პერიოდში შეძლო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა და მტკიცებულებად წარმოადგინა **30.06 2026 წ. -ლის სამეურვეო საბჭოს ოქმი №6 , რომელიც მოწმობს, რომ სკოლის შვიწლიანი (2024წ. -2031წ. ) სტრატეგიული განვითარების გეგმა დმტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ.**
ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად ინდიკატორი **N 1.2.1.2.** შეფასდა, როგორც **შეესაბამება** .

ინდიკატორი
N 1.2.2.2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც **შეუსაბამო, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების** მტკიცებულებები, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი ორი წლის წინ იქნა შემუშავებული და დამტკიცებული.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის უზრუნველყო აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადებში(.06.2026-30.06.2026 წ.) აღმოფხვრა. სკოლამ წარმოადგინა მოქმედი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტი.
ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად ინდიკატორი **N 1.2.2.2.** შეფასდა, როგორც **შეესაბამება** .

**ინდიკატორი**
**N 3.1.2.1 პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ინდიკატორი დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, **როგორც შეუსაბამო,** გამომდინარე იქიდან , რომ ექსპერტთა ვიზიტისას სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის დამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებული იყო არა სამეურვეო საბჭოს მიერ , არამედ დირექტორის ბრძანებით (2024 წლის 09 სექტემბრის № 2-40 ბრძანება), ხოლო სკოლის მიერ წარმოადგენილ სამეურვეო საბჭოს ოქმი № 1-ში (05 სექტემბერი, 2024 წ.) , იკითხებოდა, აღნისნული დოკუმენტი მხოლოდ განხილული იყო მე-4 საკითხად .
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად . სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადებად განსაზღვრულია 30.06.2026- 30.06.2026 პერიოდი. სკოლამ მითითებულ პერიოდში შეძლო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა და მტკიცებულებად წარმოადგინა **30.06 2026 წ. -ლის სამეურვეო საბჭოს ოქმი №6 ,** რომელიც მოწმობს, რომ სკოლის **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დმტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ.**
ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად ინდიკატორი **N 3.1.2.1** შეფასდა, როგორც **შეესაბამება .**

**N 3.3.1.3 სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა ერთიანი დოკუმენტი , რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა მოსწავლეთა, თანამშრომლეთა და მშობელთა მიერ საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები და სხვა დეტალები.
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად . სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადებად **განსაზღვრულია 2026წ. ივნისი - 2026 ივლისი პერიოდი.** სკოლამ მითითებულ პერიოდში შეძლო **ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა და მტკიცებულებად წარმოადგინა დოკუმენტი სახელწოდებით ,, საჩივრების წარდგენისა და განხილვის პროცედურები“ (დამტკიცებული 2025 წლის 17სექტემბერს N2-64** ბრძანებით).

ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად ინდიკატორი **N 3.3.1.3** შეფასდა, როგორც **შეესაბამება**
.

**ინდიკატორი**
**N 3.3.2.1 სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა ერთიანი დოკუმენტი , რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა მოსწავლეთა, თანამშრომლეთა და მშობელთა მიერ საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები და სხვა დეტალები.
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად . სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადებად განსაზღვრულია **2026წ. ივნისი - 2026 ივლისი პერიოდი.** სკოლამ მითითებულ პერიოდში შეძლო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა და მტკიცებულებად წარმოადგინა **საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესდება(დამტკიცებული 2026 წლის 9 ივლისს N34 ბრძანებით) .**

ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად ინდიკატორი **N 3.3.2.1** შეფასდა, როგორც **შეესაბამება**

**ინდიკატორი**
**N 3.4.1.8 სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , **როგორც არ შეესაბამება,** ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთენ ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა , რომელშიც განსაზღვრული აქვს ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრელად ვადა 2026 წლის ივნისი _ 2026 წლის სექტემბერი და ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უკვე გადადგა ქმედითი ნაბიჯები.
გამომდინარე იქიდან , რომ სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები და გაითავისა რამდენად მნიშვნელოვანია, არსებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტურობის პერიოდული შეფასება, რათა შეფსების ანალიზის საფუძველზე დროულად იქნეს მიღებული ზომები მექანიზმების გასაუმჯობესებლად, ექსპერტები იზიარებენ სკოლის პოზიციას , შესაბამისად ,ინდიკატორი შეფასდა როგორც **შეესაბამება.**

**ინდიკატორი**
**N 3.6.3.5 ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების**

**დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , **როგორც არ შეესაბამება,** გამომდინარე იქიდან , რომ სკოლას ვებ-გვერდზე ატვირთული არ ჰქონდა ინდიკატორით მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია:
:ა) მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი
ბ)დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ
გ)მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი
დ)მხარდაჭერის სერვისები
ე)საჩივრების წარდგენისა და განხილვის პროცედურები
ვ)საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადად მითითებული აქვს 2026 წლის ივნისი - 2026 წლის ივლისის პერიოდი.
ვებ-გვერდის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლამ აღნიშნულ ვადაში შეძლო ჩამოთვლილი დოკუმენტების განთავსება . ექსპერტების მიერ გათვალისწინებული იქნა სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები , შესაბამისად , დასკვნაში ინდიკატორი **N 3.6.3.5** შეფასდა, როგორც **შეესაბამება.**

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**
**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**
**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
**სკოლის მისიაა:** შექმნას უსაფრთხო, პოზიტიურ და ინკლუზიურ სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პოტენციალის განვითარება, მყარ საგანმანათლებლო საფუძველს მომდევნო საფეხურებისთვის და მოსწავლეთა მზადყოფნას ცხოვრებისეული გამოწვევებისთვის.

**სკოლის ხედვაა:** სკოლა ისწრაფვის იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, ღია და პასუხისმგებლიანი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, თანამედროვე და პრაქტიკულ მიდგომებს და თანასწორი ხელმისაწვდომობის პრინციპს. სკოლა ხედავს საკუთარ თავს როგორც უსაფრთხო და მხარდამჭერ სივრცეს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას და პასუხისმგებელი მოქალაქის ჩამოყალიბებას.

**სკოლის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:**
თანასწორობა და ინკლუზიურობა-განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა მოსწავლისთვის;
პასუხისმგებლობა-პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება საკუთარი თავის, ჯგუფისა და საზოგადოების წინაშე;
თანამშრომლობა და გუნდურობა-ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება;
უწყვეტი სწავლა-სწავლისადმი მოტივაციის, ცნობისმოყვარეობისა და თვითგანვითარების ხელშეწყობა.

დასახული ხედვისა და მიზნების მისაღწევი გეგმა სკოლას გაწერილი აქვს შვიდწლიან სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში სტრატეგიული გეგმებისა და ამოცანების სახით.
აღნიშნული დადასტურდა სკოლის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის დოკუმენტის შესწავლითა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიაში , ხედვისა და ღირებულებებში პრიორიტეტად გამოყოფს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და უსაფრთხო გარემოს შექმნა. სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გათავისება. საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი, ამისათვის სკოლა ახორციელებს სოციალურ, სასკოლო პროექტებს სკოლის პრიორიტეტია მშობელთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.
მისიისა და ხედვის თანახმად, სკოლა ქმნის ყველა პირობას, სადაც დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელს გააზრებული აქვს , რომ სკოლა არის ურთიერთობის სივრცე, სადაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი თანამშრომლობა და კომუნიკაცია.
შესაბამისად, სკოლა მისიისა და ხედვის შინაარსით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც უსაფრთხო და სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ქმნის პირობებს პიროვნული განვითარებისთვის.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

ექსპერტების მიერ სკოლის წარმომადგენლებთას საუბრისას გაირკვა, რომ სკოლას მისიის, ხედვისა და ღირებულებებიას ჩამოყალიბების პროცესში ხელმძღვანელობდა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით(**2024 წლის 09 სექტემბრის № 2-39 ბრძანება**), რომელშიც გაწერილია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მექანიზმები სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით.

აღნიშნულ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყო დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა სამუშაო ჯგუფმა **( მონიტორინგის ჯგუფის შექმის ბრძანება 1/30 , 14 ივნისი , 2024წ)** , რომელიც ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში შეეცადა, მაქსიმალურად მოეცვა მთელი სასკოლო საზოგადოება . ფილოსოფიის პროექტი წარგენილი იქნა პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე, ასევე დამრიგებლების მიერ გაზიარებულ იქნა სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში და სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და შეფასების ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბეს სკოლის მისიია, ხედვა და ღირებულებები.

სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა შესაბამისი ოქმები .

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტების შემუშავება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ.ფილოსოფიის დოკუმენტის საბოლოო ვერსია დამტკიცებამდე სკოლის მიერ წარდგენილი იქნა პედსაბჭოზე , ასევე გამოქვეყნებულ იქნა სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების გაზიარების პროცესი სკოლამ უზრუნველყო მისი შემუშავების ეტაპზე საბოლოო სახით ფორმულირებამდე და გასაჯაროებამდე.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. გამოკრულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, ვიზიტის პერიოდში სკოლას აღნიშნული დოკუმენტი არ ჰქონდა გაზიარებული სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ექსპერტების რეკომენდაციით ვიზიტის დასრულებამდე იქნა გამოქვეყნებული Facebook - გვერდსა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“

ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: **-"სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლა"**, შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;(**2024 წლის 09 სექტემბრის № 2-39 ბრძანება** )
3. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება(ბრძანება N 1/30 14 .06.2024 );
4. 2025-2032 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
5. 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
6. სამუშაო ჯგუფის ოქმი N 3 , 04.09.2024წ. ;
7. პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
8. სამეურვეო საბჭოს ოქმი ;
9. სკოლის ვებ-გვერდი

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

**სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებით(14.06.2024 ბრძანება # 1/30) შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი , ბრძანებაში განსაზღვრული ჯგუფის ფუნქციებიდან დგინდება, რომ ფაქტობრივად ეს ჯგუფი არის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უნდა უზრუნველყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და ასევე ევალება სამოქმედო და სტრტატეგიული გეგების შესრულების მონიტორინგი.**
სკოლას შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების **მეთოდოლოგია( 2024 წლის 09 სექტემბრის № 2-39),** როგორც ერთი მთლიანი დოკუმენტი, რომლიც ფარავს როგორც მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება/გაზიარება/გასაჯაროების , ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება/მონიტორინგი/შეფასების მექნიზმებს . ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოკვეთილი პრიორიტეტების მიხედვით გაწერილია სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა. ექსპერტების მიერ ზემოაღნიშნული დოკუმენტების განხილვისას გამოიკვეთა, რომ ფილოსოფიისა შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგის შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მე-4 და მე-5 თავებში მკაფიოდაა გაწრილი დაგეგმვის პროცესში ჩართული მხარეები და პროცესთნ დაკავშირებული მიდგომები.

**რჩევა : სასურველია, შემდეგში სკოლამ გამიჯნოს სამუშაო და მონიტორინგის ჯგუფები, გამომდინარე იქიდან რომ მათ სხვადასხვა ფუნქციები აქვთ. ასევე , სასურველია , რომ იგივე სამუშაო და მონიტორინჯის ჯგუფებში იგივე შემადგენლობა არ იყოს, რადგან სტრატეგიული და სამოქმედო გეგნის შესრულების მინიტორინგის პროცესში დაცული იქნეს ობიექტურობა.**

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

ექსპერტთა ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა ,, სსიპ ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა , რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ (**2024 წლის 09 სექტემბრის № 2-37 ბრძანებით.),** ასევე წარმოადგინა **სამეურვეო საბჭოს ოქმი № 1** (**05 სექტემბერი, 2024 წ.**) რომელიცნ მე-3 და მე-4 საკითხად განხილულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რაც ადასტურებს, რომ სამეურვეო საბჭონ განიხილა ზემოაღნიშნული დოკუმენტები, თუმცა ოქმში არ იკითხება, რომ სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა ისინი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2024-2031 წლებს. სტრატეგიულ დაგეგმარებასთან დაკავშირებული პროცესები მოიცავს: თანამონაწილეობას, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას,

გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. დოკუმენტში გაწერილია მისაღწევი მიზნები , თითოეული სტრატეგიული მიზანი კი თავის მხრივ დაყოფილია ამოცანებად და გაწერილია შესრულების ვადები.
როგორ ზემოთ იქნა აღწერილი , ექსპერტებთან სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები არ იყო სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული. შესაბამისად, დასკვნის პროექტში ინდიკატორი 1.2.1.2 შეფასებული იქნა ,როგორც შეუსაბამო.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადებად განსაზღვრულია 30.06.2026- 30.06.2026 პერიოდი. სკოლამ მითითებულ პერიოდში შეძლო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა და მტკიცებულებად წარმოადგინა **30.06 2026 წ. -ის სამეურვეო საბჭოს ოქმი №6 ,** რომელიც მოწმობს, რომ სკოლის შვიწლიანი (2024წ. -2031წ. ) სტრატეგიული განვითარების გეგმა დმტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ.
ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად ინდიკატორის შეფასდა, როგორც **შეესაბამება .**

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ექსპერტების მიერ მისი შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა , რომ იგი გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და თანხვედრაშია სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებთან. გეგმა მოიცავს წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობების შინაარსს. კერძოდ, სკოლის ინტელექტუალური რესურსის, მათ შორის, პედაგოგების პროფესიონალიზმის მზარდი განვითარება; სწავლა-სწავლების შედე;გობრივი ხარისხის ამაღლება; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; უსაფრთხო,ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; თითოეულის შესასრულებლად დასახული აქვს ამოცანები და გაწერილი აქვს შესაბამისი აქტივობები, რესუსები , შესრულების ვადები, ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები.

   **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია 2025-2026სასწავლო წლის სტრატეგიული მიზნები, მათი მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და შესაბამისი აქტივობები. ასევე შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები და შესრულების ინდიკატორები.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება (**2024 წლის 09 სექტემბრის № 2-39 ბრძანება)**
2. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება ( ბრანები 1/30 , 14.06.2024წ)
   2021-203 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა(**2024 წლის 09 სექტემბრის№ 2-37 ბრძანება)**
3. 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025 წლის 15 სექტემრის N 17 ბრძანება;
5. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა(ბრძანება N 16 /15.09.2025/);
6. სკოლის ვებგვერდი.
7. პედსაბჭოს ოქმი
8. სამეურვეო საბჭოს ოქმი#6

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე -12 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და მექანიზმებს. თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“.
როგორც დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა ივნისში გეგმავს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგს.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმატების მეთოდოლოგიის შესაბამისად , როპემლიც სკოლას დამტკიცებული აქვს **2024 წლის 09 სექტემბრის № 2-39 ბრძანებით** , სამოქმედო გეგმის მონიტორინგს სკოლა უნდა ახორციელებდეს წელიწადში ორჯერ იანვარსა და ივნისში. **სკოლამ წარმოადგინა დოკუნენტი სახელწოდებით „სასწავლო გგნის SWOT ანალიზი“ , რომელის ფორმატიც შეესაბამება შინაარსობრივად მოიცავს სტრატეგიული გეგმის ანალიზს.** დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან და სამუშო ჯგუფის წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, **მიუხედავად იმისა, რომ სკოლას უკვე ორი წელია , შემუშავენული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები, არ აქვს მათი შესრულების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება**( დოკუმენტში მითითებული ვადა ივნისშია ) , ექსპერტების მიგნებების შესაბამისად სკოლას განემარტა, რომ ზემოაღნიშნული გეგმების მონიტორინგის გარეშე, შეუძლებელია მართებულად დაიგეგმოს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა. ასევე სკოლას განემარტა , რომ მონიტორინგის ვალდებულება მათ მიერვე შექმნილ დოკუმენტშია( სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგი) განსაზღვრული.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გასაუბრებისას აღნიშნა , რომ გაიზიარა ექსპერტთ მიგნებები , გააზრებული აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა და მათზე დაყრდნობით განვითარების გეგმაში შესატანის ცვლილებების საჭიროების აუცილებლობა და ივნისში განახორციელებენ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგს.

ზემოაღწერილიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც **შეუსაბამო, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების** მტკიცებულებები, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი ორი წლის წინ იქნა შემუშავებული და დამტკიცებული.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის უზრუნველყო აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადებში (.06.2026-30.06.2026 წ.) აღმოფხვრა. სკოლამ წარმოადგინა მოქმედი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტი.

ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად ინდიკატორის შეფასდა, როგორც **შეესაბამება** .

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში კი მიეცა რჩევა:

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2024 წლის 9 სექტემბერს , დოკუმენტის მე -12 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და მექანიზმებს. თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შესაბამისად, სკოლას **უნდა უზრუნველეყო სტრატეგიული და სამოქმედო**

**გეგმების შესრულების მონიტორინგი წელიწადში ერთჯერ , ივნისში. ამავე თავის მე-14 პუნქტის შესაბამისად უნდა უზრუნველეყო შედეგების საჯაროობა.**
გამომდინარე იქიდან , რომ სკოლამ ვიზიტისას ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმისა, რომ ახორციელებდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდა.

არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა მოქმედი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტი, ანგარიში. ასევე ესქპერტების მიერ კიდევ ერთხელ იქნა დათვალიერებული სკოლის ვებ-გვერდი და დადგინდა , რომ სკოლას განთავსებული აქვს ზემოაღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისად დასტურდება , რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2024 წლის 9 სექტემბერს , დოკუმენტის მე -12 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და მექანიზმებს. თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შესაბამისად, სკოლას **უნდა უზრუნველეყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი წელიწადში ერთჯერ , ივნისში. შედეგები კი უნდა გამოეყენებინა შემგგომი განვითარებისთვის.**

გამომდინარე იქიდან , რომ სკოლა ამ დრომდე არ ახორციელებდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და არ აქვთ მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით შემდგომი განვითარების დაგეგმვის პრაქტიკა, შესაბამისად, ინდიკატორი ვერ შეფასდა .

**ინდიკატორი ვერ შეფასდა**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება (**2024 წლის 09 სექტემბრის № 2-39 ბრძანება)**
2. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება ( ბრანები 1/30 , 14.06.2024წ)
   2021-204 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა(**2024 წლის 09 სექტემბრის№ 2-37 ბრძანება)**
3. 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. სკოლის ვებ-გვერდი. https://skolebi.emis.ge/schools/1670?schoolName
5. პედსაბჭოს ოქმი

6. სამეურვეო საბჭოს ოქმი #6
7. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი/ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**
**3.1. პერსონალის მართვა**
**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლამ წარმოადგინა ორგანიგრამა, რითის დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს ერთმანეთზე დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ: დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის საგნობრივი კათედრები, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელთა საქმიანობა განსაზღვრულია, როგორც კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ“, ასევე სკოლის შინაგანაწესით.

დასაქმებული თანამშრომლების, ასევე , კოლეგიალური სტურქტურული ერთეულების, ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში და მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული საშტატო ნუსხა . სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, 12 მასწავლებელი , მათ შორის 1 სპეც.მასწავლებელი, საქმიმწარმოებელისა და ბიბლიოთეკარის ფუნქციები შეთავსებით აქვთ , ექთანი, 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის დებულება , რომელშიც გაწერილია თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივ ინსტრუქციების მიხედვით სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, შესაბამისობაშია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმასთან.

სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება და ისეა განაწილებული, რომ შეძლონ სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა. სკოლაში მოქმედ სტრუქტურულ ერთეულებსა და დასაქმებულ პირთა საქმიანობები და მოვალეობები დელეგირებულია, მათი ცოდნის, უნარებისა , კვალიფიკაციისა და ვალდებულებების მიხედვით და პროფესიული საქმიანობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უსაფრთხო და შეუფერხებელ განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს ეთიკის კოდექსის შესაბამისად. .

სკოლის საგნობრივი კათედრები საქმიანობას ახორციელებს სკოლის მიერ შემუშავებული კათედრის დებულების შესაბამისად.

სკოლის სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, ახორციელებს საჯარო სკოლის წესდების და ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის დედულება
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. სკოლაში დასაქმებულ პირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულება( პედაგოგებთან , მომსახურე პერსონალთან, საქმისმწარმოებელთან...);
4. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა /ფუნქციები
5. სკოლის ორგანიგრამა;

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი , **რომელიც დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ (2024 წლის 09 სექტემბერი № 2-40 ბრძანებით. ) , სკოლის მიერ წარმოდგენილ სამეურვეო საბწოს არცერთ ოქმებში არ იკითხება, რომ აღნიშნული დოკუმენტი განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს.** სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის საკითხებს და მოიცავს პერსონალის შერჩევის, მიღების, შეფასების და პროფესიული განვითარების რეგულაციებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი მიზანები და მიდგომები. კერძოდ, პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

ასევე ამოცანები:

**პოლიტიკის ამოცანებია:**

- **დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;**
- **დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;**
- **დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.**

ასევე შესწავლილი იქნა სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია შრომითი ურთიერთობის რეგულაციები და პირობები, შრომითი დისციპლინური გადაცდომები, გასატარებელი ზომები და თანამშრომლებთნ დადებული ხელშეკრულებები , რომლებშიც აღინიშნული იყო თანამდებობა, თანამდებობრივი სარგო, უფლებამოსილება-ვალდებულებები და დავის წარმოშობის შემთხვევაში გასაჩივრების მექანიზმები.

სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე , დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიმდინარეობს , თუმცა **ადამიანური რესურსების მართვის პორლიტიკის დოკუმენტი წარდგენილი და დამტკიცენული უნდა იყოს სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ, რაზედაც სკოლას მიეცა განმარტება.**

ზემოაღწერილიდან გამომდინარე, ინდიკატორი დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადებად განსაზღვრულია 30.06.2026- 30.06.2026 პერიოდი. სკოლამ მითითებულ პერიოდში შეძლო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა და მტკიცებულებად წარმოადგინა 30.06 2026 წ. -ლის სამეურვეო საბჭოს ოქმი №6 , რომელიც მოწმობს, რომ სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დმტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ.

ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად , ინდიკატორის შეფასდა, როგორც **შეესაბამება .**

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტები . ზემოაღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლაში ადამიანური რესურსის დადგენილი საჭიროების საფუძველზე სხვადასხვა პოზიციაზე დანიშვნა ხდება წინამდებარე წესის მიხედვით.

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან დადგინდა, სკოლა სასწავლო წლის ბოლოს საზღვრავს, თუ რომელ პოზიციაზე საჭიროებს კადრის დამატებას, შესაბამისად აცხადებს ვაკანსიას და კონკურისის საფუძველზე არჩევს კადრს.

**მასწავლებლის** ვაკანტურ პოზიციაზე ცხადდება კონკურსი. ხოლო , სკოლაში საჭირო ადამიანური რესურსის **სხვა პოზიციაზე** არსებული ვაკანსიის შემთხვევაში დასაქმება ხდება , დაინტერესებული პირის მიერ სკოლის დირექტორის სახელზე შეტანილი განცხადებისა და დირექტორთანვე გასაუბრების საფუძველზე.

პრევენციული მართვის მიმართულებით სკოლა უზრუნველყოფს ახალი კადრის სწარფად ინტეგრაციასა და ადაპტაციას სასკოლო საზოგადოებაში, რომელსაც ახორციელებს დირექტორის მოადგილე, აცნობს წესებსა და კულტურას , საგნობრივი მიმართულებით საქმიანობის გარკვევაში- კათედრის ხელმძღვანელი, მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციის დამყარებაში - კლასის დამრიგებლები.

სკოლა ეფექტურად ახორციელებს პერსონალის ინტერვენციულ მართვას, პროცესების უწყვეტად მიმდინარეობისათვის . პერსონალის არყოფნის შემთხვევაში , განსაზღვრული დროით, მყისიერ ხდება ჩანაცვლება შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლით. ასევე , საჭიროების შემთხვევაში , თუკი თანამშრომელს სჭირდება სკოლის მხარდაჭერა (პრაქტიკული პროფესიული რჩევები და სხვა...) სკოლა ეხმარება მათ პრობლემის დროულ აღმოფხვრელად , რაც დასტურდება პადაგოგებთან ინტერვიუებით.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას მკაფიოდ აქვს გაწერილი ადამიანური რესურსების შერჩევის პროცედურა . თანამშრომლის შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა'' და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

სკოლა ვაკანსიებს აცხადებს დასაქმების პორტალზე teacherjobs.ge, ვაკანტური პოზიციის შესაბამისი კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ეტაპების შესახებ ინფორმაცია. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება. საკონკურსო კომისია კანდიდატს არჩევს და აფასებს მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე წინასწარ გაწერილი შეფასების კრიტერიუმებით.წესით, საკონკურსო კომისიის მიერ კადრის შერჩევა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მიღებას, ობიექტურობის, გამჭვირვალობბის პრინციპით. რაც შეეხება სკოლის დანარჩენ პერსონალს, ახალ კადრს დირექცია არჩევს გასაუბრების გზით.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან გასუბრებით დადგინდა, რომ რეგიონში კადრის სიმცირის გამო ძალიან უჭირთ სერტიფიცირებული პედაგოგების აყვანა, ასევე , იმის გათვალისწინებით , რომ სკოლას ერთსაფეხურიანი და მცირეკონტინგენტიენია , შესაბამისად , არ არის დაშვებული ბიბლიოთეკარის შტატი და მისი ფუნქციის შეთავსება უწევთ მასწავლებელს .
სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა teacherjobs.ge-ს კომპიუტერის ეკრანის ფოტო. სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის საკონკურსო კომისიის ოქმები და შესაბამისი ბრძანებები, რომლითაც განხორციელდა სხვადასხვა პოზიციაზე კანდიდატთა (პედაგოგები, დამხმარე პერსონალი ადმინისტრაცია) შერჩევა და შერჩეულ კადრთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ექსპერტების მიერ ასევე შესწავლილ იქნა თანამშრომლების პირადი საქმეები. შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მათში სრულყოფილად იყო განთავსებული სკოლის მიერ განსაზღვრული დოკუმენტები(განათლების დამადასტურებელი დიპლომი, ცნობები ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმების შესახებ, სერტიფიკატები).

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები(**2023 წლის 04 სექტემბრის N 37 ბრძანებით)**, თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით, მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული აქვთ კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლაში დასაქმებულია სულ 16 ადამიანი;

დირექტორი, ბუღალტერი, საქმიმწარმოებელი, ექთანი , 12 პედაგოგი, აქედან 10 უფროსი , ერთი წამყვანი და 1 სპეციალური მასწავლებელი, 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი, ტექნიკური მენეჯერი.
ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ გამოცხადებულ ვაკანსიაზე აყვანის კრიტერიუმები შეესაბამება დასაქმებულის პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები წინასწარ ცნობილი იყო დაინტერესებულ პირთათვის.
პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ყველასი გარდა ტექნოლოგიების მასწავლებლისა.

**ვიზიტის პერიოდში სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ტექნოლოგიების მასწავლებლის ვაკანსია . ტაქნოლოგიების საათები შეთავსებული ჰქონდა რუსული ენის პედაგოგს, რომელიც ასევე ითავსებდა საქმისმწარმოებლისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციებს.**

ზემოაღწერილიდან გამომდინარე დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , **როგორც არ შეესაბამება,**
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციისთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ ვაკანტური საათების შესავსების მიზნით , ასევე მტკიცებულებად დაურთო JOBS.ge -s პლატფორმის ფოტო .
აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხრელად შესაბამისობის გეგმაში მოთითებულია 2026 წლის ივნისი_ 2026 წლის სექტემბერს პერიოდი.
ექსპერტებმა გაითვალისწინეს , რომ სკოლამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად გადადგა ქმედითი ნაბიჯები.
შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შეესაბამება** . ასევე აღწერილთან მიმართებაში სკოლას მიეცა რეკომენდაცია.
**რეკომენდაცია:**
**სკოლამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის ივნისი 2026წლის სექტემბერი) უზრუნველყოს ტექნოლოგოების სეტიფიცირებული პედაგოგის აყვანა.**

შესაბამისად,
**ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში ერთსაფეხურიანი და მცირეკონტინგენტიანია, ამიტომ ფუნქციონირებს 4 საგნობრივი კათედრა და სხვა ფუნქციონალური რგოლები. საგნის მასწავლებლებს, დამრიგებლებს და საგნობრივ კათედრებს შორის ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი კულტურა, ტარდება სამუშაო შეხვედრები, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრების ოქმებით. ასევე ატარებენ და გეგმავენ ერთობლივი ღონისძიებებისა და სხვადასვა პროექტს.
სკოლას გააჩნია გუნდური მუშაობის გამოცდილება, ხდება წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირის გაცემაც.
**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში იგრძნობა თანამშრომლობითი კულტურა. ამის ნათელი მაგალითია კათედრების ეფექტური მუშაობა, რომელთა შეხვერდრებზეც ერთობლივად იგეგმება გაკვეთილები , პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას.

რაც შეეხება აღიარების , წახალისების ფორმები გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით, რომლის თანახმადაც, წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით, წახალისების თაობაზე(მადლობა, ფულადი ჯილდო და სხვა) გამოიცემა დირექტორის ბრძანება. ინფორმაცია სკოლის წარმატებების, წარმატებული მოსწავლეებისა და თანამშრომლების შესახებ, მათი გამორჩეული აქტივობების შესახებ ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში. აღნიშნული ინფორმაცია მომავალში ასევე განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
2. სკოლის ორგანიგრამა;
3. შინაგანაწესი
4. 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
5. დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ (2024 წლის 1 სექტემბრის N 24 ბრძანება )
6. მასწავლებლის წახალისების ბრძანება ;
7. სკოლის ტექნიკური პერსონალის წახალისების ბრძანება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმებსა და ეტაპებს ( მუხლი 19. პერსონალის შეფასება; მუხლი 20. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება;.) შეფასებისას ეყრდნობიან ურთიერთპატივისცემის პრინციპებს. ასევე სკოლა ხელმძღვანელობს 2020 წელს შექმნილი დოკუმენტით **„ სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება „ , რომლის მიზანია:**

ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება.

ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა;

გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;

დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

**ხარისხის ჯგუფის მიზნებია:**

ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;

ბ) მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა;

გ) სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება.

დ) სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება;

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქცია და ვალდებულებაა მასწავლებელთა საჭიროებების გამოვლენა და მათი მხარდასაჭერა . ჯგუფს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, შემუშავებული აქვს მონიტორინგის, შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, რომელიც პერიოდულად იცვლება და ვითარდება სხვდასხვა საჭიროების გათვალისწინებით;

სკოლა გეგმავს შიდა ტრენინგებს და ამისამართებს პედაგოგებს , საჭიროებისა და ინტერესის მიხედვით, შესაბამისი მოდულების მქონე ტრენინგკურსებზე.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის მონიტორინგის შემდეგ, ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების დადგენა და საჭირო მომართულებით პროფესიული განვითარების დაგეგმვა. სკოლა იყენებს მხარდაჭერის შიდა მექანიზმებს , კათედრებზე უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას, ასევე, სკოლის დირექცია დროულად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დაგეგმილი ტრენინგების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სკოლა პროფესიული განვითარების მიმართულებით ზრუნავს არამარტო პედაგოგებზე, არამედ მომსახურე პერსონალზე და ადმინისტრაციაზე.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების სტაბილურად შენარჩუნება და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა , რადგან სკოლის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს პერსონალის კვალიფიკაციასა და მოტივაციას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ( მუხლი 21, თანამშრომელთა მოტივაცია) გაწერილი აქვს მოტივაციის ამაღლების მექანიზმები.

პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად სკოლა იძებს და დროულად აწვლის ინფპორმაციას არსებული აქტივობების თაობაზე , ხელს უწყობს თანამშრომლებს ჩაერთონ ტრენინგებში. სკოლა დაინტერესებულია თითოეული თანამშრომლის წარმატებითა და წინსვლით. ხარისხის განვითარების ჯგუფი ეხმარება სტატუსის შეცვალის მსურველ მასწავლებლებს სტატუსის ამაღლებისათვის საჭირო ცოდნის მიღებასა და უნარების განვითარებაში. ამის დასტურია, ის ფაქტი, რომ სკოლა ამ ეტაპისთვის, ფაქტობრივად არ ჰყავს უსტატუსო მასწავლებელი.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს თანმიმდევრულ სახელმძღვანელო მითითებებს და , ზოგადად, ცხადყოფს სკოლის პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან მიმართებით. დოკუმენტში ( მუხლი 18. ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია) დეტალურად გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის მექანიზმები და ეტაპები. სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღებისას მთელი კოლექტივი ცდილობს მის მხარაჭერას, აცნობენ სკოლის კულტურასა , რთავენ სხვადასხვა პროცესში და ეხმარებიან ადაპტაციაში. სკოლაში არის ძალიან ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემო, ეს იგრძნობოდა როგორც პერსონალის ექსპერტებთან თანამშრომლობისას, ასევე კათედრებთან საგნობრივი ექსპერტების შეხვედრისას და გასაუბრებისას.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების

კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან , სკოლის დირექცია ითვალისწინებს მათ საჭიროებებს და მხარდასაჭერად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
2. დებულება - დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ
3. მასწავლებლის წახალისების ბრძანება ;
4. სკოლის ტექნიკური პერსონალის წახალისების ბრძანება;
5. ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილის რეფლექსია
6. გაკვეთილზე დასწრებისა და შეფასების შევსებული ფორმა ;
7. სკოლის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივების ამსახველი მასალა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**
**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს 2024 წლის 17 იანვარს დამტკიცებული დოკუმენტით,, **სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლი სხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი** ''(**№ 2-07 ბრძანება). დოკუმენტი I თავვი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.**

სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი **ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მმართველობით, ძირითადისა და დამხამრე პროცესების შეფასებას.** ხარისხის მართვის უზრუნველყოფის ჯგუფი შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გასცემს რეკომენდაციებს, პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების ან/და პროცესის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

შესაბამისად,

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტისა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობით პროცესად განსაზღვრულია მისიის და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი.

- **სკოლის ძირითადი პროცესებია:**

ა) კურიკულუმის განვითარება;
ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;
გ) საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების კოორდინირებული საქმიანობა და სხვადასხვა რესურსების გამოყენება.

- **სკოლის დამხმარე პროცესებია:**

პროცესზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სტრუქტურული ერთეული ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის თავმჯდომარე.
ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება;
ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება;
გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება;
დ) ფინანსური რესურსების მართვა;
ე) ადამიანური რესურსების მართვა;
ვ) მატერიალური რესურსის მართვა;
ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა;

თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;
ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
კ) კარიერული განვითარება;

დოკუმენტის მე-2 თავში გაწერილია **ხარისხის უზრუნველყოფის წესი**

სკოლას გააზრებული აქვს საგანმანათლებლო პროცესების სწორად და ხარისხიანად წარმართვისათვის მმართველობითი და ძირითადი პროცესების ურთიერთგავლენა და მნიშვნელობა.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესისა და სასწავლო გეგმის შესწავლისას დადგინდა , რომ სკოლის სასწავლო გეგმაში არის თავი ,, მოსწავლეთა უფლებების დაცვა „ ასევე შინაგანაწესის 22-ე მუხლში **(განცხადების გასაჩივრების წესი)** იკითხება **სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით“** , თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია , არც ვებ-საიტზე აქვს განთავსებული ცალკე შედგენილი დოკუმენტი ,, საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი“ რომელშიც განსაზღვრული იქნება მოსწავლეთა, თანამშრომლეთა და მშობელთა მიერ საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები და სხვა დეტალები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ პირთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესის შესაბამისად, თუმცა , როგორც შემოთ აღვნიშნეთ, ვერ წარმოადგინეს დოკუმენტი, რომლითაც ხელმძღვანელობენ .
ზემოაღწერილიდან გამომდინარე , დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , **როგორც არ შეესაბამება** .
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადებად განსაზღვრულია 2026წ. ივნისი - 2026 ივლისი პერიოდი. სკოლამ მითითებულ პერიოდში შეძლო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა და მტკიცებულებად წარმოადგინა დოკუმენტი სახელწოდებით ,, საჩივრების წარდგენისა და განხილვის პროცედურები“ (დამტკიცებული 2025 წლის 17სექტემბერს N2-64 ბრძანებით).
ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად ინდიკატორის შეფასდა, როგორც შეესაბამება .

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში არ არის შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი , ასევე სკოლამ ვერ წარმოადგინა საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესის დოკუმენტი, რომლებშიც გაწერილია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები დაცვის მექანიზმები . დოკუმენტი არ არის განთავსებული ვებ-გვერდზე,

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები , ასევე პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, ძირითადად იკითხება მშობლებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებში, რომელთა შესაბამისი მუხლები მოიცავენ უფლებების დაცვის მექანიზმებს და შესაბამისობაშია ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ უფლებებთან.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები( ბრძანება N 8( 01.09.2025))
2. შინაგანაწესი;
3. სასწავლო გეგმა;
4. მშობლის ხელშეკრულება.;
5. თანამშრომლის ხელშეკრულება;
6. სკოლის ვებგვერდი

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

**ექსპერტთა ვიზიტისას სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტები , რომელიც მოიცავდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმებს .**

სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას ძირითადად სოციალური ქსელით, კლასის მშობელთა დახურულ ჯგუფებსა და მშობელთა კრებებზე აწვდის. უკუკავშირის გათვალისწინებით კი გეგმავს შესაბამის აქტივობებს.

სკოლის მმართველობითი პროცესები მეტ-ნაკლებად დემოკრატიულია და საჯაროა მმართველობასთან დაკავშირებული ნაწილი დოკუმენტებისა.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა ერთიანი დოკუმენტი , რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადებად განსაზღვრულია 2026წ. ივნისი - 2026 ივლისი პერიოდი. სკოლამ მითითებულ პერიოდში შეძლო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა და მტკიცებულებად წარმოადგინა საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესდება(დამტკიცებული 2026 წლის 9 ივლისს N34 ბრძანებით) .

ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად , ინდიკატორის შეფასდა, როგორც შეესაბამება

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში სტრუქტურული კოლეგიური ორგანოების სახით ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო , სტრატეგიული განვითარების ჯგუფი, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. აღნიშნულ კოლეგიური ერთეულების საქმიანობაში ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები. თითოეულ ორგანოს დაბულებაში გაწერილი აქვს ფუნქცია-ვალდებულებები და შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმები.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრუქტურული ერთეულების/ჯგუფის გეგმები
2. სტრუქტურული ერთეულების/ჯგუფის ოქმები.
3. ვებ-გვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

   სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ძირითადი შესასვლელი არის ქუჩის მხარეს, სკოლას ეზო შემოღობილია კაპიტალურად , სკოლაში ნებისმიერი პირის შესვლას აკონტროლებს დარაჯი, ასევე სკოლაში დადგენილია მასწავლებელბის მორიგეობის გრაფიკი.

   **სკოლას ეზოში აქვს ჭა, რომელიც შემოსაზღვრულია, დაახლოებით 1მ-1.2მ -ს ჯებირით , რაც ადვილად დასაძლევი ბარიერი მოსწავლისთვის. ჭა არ არის დალუქული. გადაფარებული აქვს ბადე, რაც, ექსპერტების აზრით, არ არის უსაფრთხო.**

   **სკოლას ექსპერტთა ვიზიტისას არ ჰყავდა მანდატური, ასევე არ ჰქონდა სამეთვალყურეო კამერები**. როგორც დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, განათლების სამინისტროს ეკონომიკის სამსახურთან საშუამდგომლო წერილით **(2025 წლის 14 მარტი, N 278130**)მიმართა რესურსცენტრს , კამერების დამონტაჟებასთან დაკავშირებით.

   ყველა სართულზე სახანძრო კარადაში განთავსებულია ცეცხლმაქრები, ასევე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. გარეშე პირთა სკოლაში შესვლა დაიშვება დირექციასთან შეთანხმებით, ხოლო მშობლების ვიზიტისთვის დაწესებულია კონკრეტული დღე და საათები, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში .

   **ვიზიტის პერიოდში სკოლას ასევე არ ჰქონდა :**

   - **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;,**
   - **ლევან სამხარაულის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობების მდგრადობისა და ექსპლუატაციის დასკვნა ;**
   - **ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა მოპოვებული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა,**

**ზემოაღნიშნული დოკუმენტების მოპოვებასთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა გაგზავნილი წერილები :**

1. **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების მოთხოვნით (წერილი 21/02/2026 MES 4 26 0000200874)**
2. **ლევან სამხარაულის ეროვნულ ბიუროში წერილი 17. 02.2026წ) შენობის უსაფრთხოების შესწავლის მოთხოვნით.**

3. **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიში (წერილი 20/02/2026MES 1 26 0000196426) სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან / სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მოთხოვნით..**

ასევე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა , რომლის მიხედვითაც ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ჰქონდა ვადები. კერძოდ,

- შენობის მდგრადობის დასკვნის მოსაპოვებლად 16.02.2026 წ. __ 15.02.2027 წ.
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა 20.02.2026 წ. __ 19.02.2027 წ.

გამომდინარე იქიდან , რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას მხოლოდ მიწერილობები ჰონდა შესაბამის სამსახურებთან და არ ჰქონდა მათგან უკუკავშირი, დასკვნის პროექტის ფარგლებში გაცემული იქნა ორი რეკომენდაცია:

- სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში , 20.02.2026 წ. __ 19.02.2027 წ..
- სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების მდგრადობისა და ექსპლუატაციის დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში , 16.02.2026 წ. __ 15.02.2027 წ..

**სკოლამ შეძლო აღნიშნულ ვადებში ორივე დოკუმენტის მოპოვება.**

თუმცა , დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასებული იყო **, როგორც არ შეესაბამება,** ვინაიდან , ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლა ვერ უზრუნველყოფდა სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, სკოლის ეზოში არსებული ჭა არ იყო დალუქული და შემოსაზღვრული იყო დაბალი ჯებირებით, რაც ,ექსპერტთა აზრით, არ არის უსაფრთხო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად . სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადებად განსაზღვრულია 2026 წლის ივნისი _ 2026 წლის სექტემბერი.

ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის პოზიცია და წარმოდგენილი დოკუმენტები , შესაბამისად , ინდიკატორის შეფასდა, როგორც მეტწილ შეესაბამება და აღწერილთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაცია .

**რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს ჭის დალუქვა და მაღალი ჯებირით შემოსაზღვრა - შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში , 2026 წლის ივნისი - 2026 წლის სექტემბერი .**

**ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას ჰყავს კველიფიციური ექთანი, რომელსაც აქვს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავლილი ტრენინგკურსი, იგი უზრუნველყოფს ,საჭიროების შემთხვევაში, პირველადი დახმარების აღმოჩენას, რომლებიც მოქმედებენ დადგენილი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ შემუშავებული პირველადი დახმარების წესით (2024 წლის 3 დეკემბრის N 38 ბრძანება) .

დათვალიერებით დადასტურდა, რომ ექიმის კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით ( სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი, შირმა, საათი, სასზორი, სიმაღლის საზომი, წნევის აპარატი, პულსომეტრი, დინამომეტრი, ფონეიდოსკოპი, საკეტიანი ტუმბო, თერმომეტრი, სამედიცინო კარადა, ყინულების ბუშტი,რეზინის ხელთთმანები, ნიღბები, სტერილური ბამბა და სახვევები...)

ექსპერტების მიერ შემოწმებულ იქნა მომართვიანობის აღრიცხვის ჟურნალი, ასევე დაცული იყო პირველადი დახმარებისთვის საჭირო ყველა მადიკამენტი და ჭრილობის დასამუშავებელი საშუალებბების ვადიანობა.

ექთანი წელიწადში ორჯერ დირექტორთან წარადგენს ანგარიშს, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სემესტრის/წლის განმავლობაში გარატებული ღონისძიებები .

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი , რომელიც პასუხისმგებელია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე , საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებენ მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას სკოლაში აკრძალული ნივთის აღმოჩენის მიზნით. დარაჯის მიერ ააღირიცხებიან შემსვლელი და გამსვლელი პირები.

ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა მანდატური, ასევე არ ჰქონდადამეთვალყურეო კამერები , რაც უზრუნველყოფდა სიდა და გარე პერიმერზე უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

სკოლის ტერიტორიაზე გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები, თამბაქოს მოხმარების ამკრძალავი ნიშნები. ასევე დამტკიცებულია თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესი(2018 წლის 05 მაისის N 55 ბრძანება).

**ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა მრჩეველთა საბჭო, რომელიც უფლებამოსილია,** განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები , შეიმუშაოს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარების შესახებ ინიციატივები და წარუდგინოს დირექტორს.

სკოლაში თავლსაჩინო ადგილებზე გამოკრულია 112 -ისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმეგებლ პირთა ტელეფონის ნომრები. ნომრები .

ზემოაღწერილიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , **როგორც არ შეესაბამება,**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადად განსაზღვრულია 2026წ.-ის ივლისი . სკოლამ მითითებულ პერიოდში შეძლო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა და მტკიცებულებად წარმოადგინა ბრძანება (10.07.2026წ. ბრძანება № 01-36) მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ.

კამერების დამონტაჟებასთან მიმართებაში შესაბამისობის გეგმაში გაწერილია აქვს ვადა 2026 წლის ივნისი - 2027 წლის ივნისის პერიოდი.

სკოლამ წარმოადგინა რესურცენტრში გაგზავნილი წერილი (11/03.2026წ MES 0 25 0000264952)კამერების დამონტაჟებისთვის საჭირო თანხის გამოყოფასის მოთხოვნით და რესურცენტრიდან საპასუხო წრილი (14.03.2026წ.MES 3 25 0000278130), რომლის შინაარსშიც იკითხება, რომ იმ დროისათვის ,,ინფრასტრუქტურის განვითარების 2024 წლის სამოქმედო გეგმის" მიხედვით, არ
არის გათვალისწინებული სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლის ვიდეოკამერების შეძენა-მონტაჟის სამუშაოები და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ახალი სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნება სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლის ვიდეოკამერების საკითხის განხილვა.
ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესაბამისად ინდიკატორის შეფასდა, როგორც **მეტწილ შეესაბამება, აღწერილთან მიმართებაში კი გაიცა რეკომენდაცია.**
**რეკომენდაცია:**
**ს**კოლამ უზრუნველყოს სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება -შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 2026 წლის ივნისი - 2027 წლის ივნისი .

**ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობა კეთილგანწყობილი და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლის დირექტორი , სპეციალური მასწავლებელი, ექიმი, პროფესიონალი მასწავლებლების გუნდი მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობითა და ნდობით ქმნიან სკოლაში ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს.
სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო საინფორმაციო კამპანიას:
დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.
ასევე სკოლა სასკოლო საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას , რომ საშიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ნომერი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყველა მოსწავლემ თუ თანამშრომელმა.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის ხარისხს აკონტროლებს და ზედამხედველობს ექთანი, იგი ინფორმაციას სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს ინფორმაციას აწვდის დალაგების წესის, ქიმიური ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ, ზედამხედველობს სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ვალდებულება გაწერილია თანამდებობრვ ინსტრუქციებში. თითოეული დამლაგებლისთვის განსაზღვრული ტერიტორიის ის ნაწილი, რომლის დასუფთავებაც ევალება. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.ყოველი შესრულერბული სამუშაოს აღრიცხავა ხდება სკოლის მიერ შემუშავებულ ფორმაში და დასტურდება დამლაგებლის ხელმოწერით.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

.

**6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები ( № 21.03.2022წ. ), რომელიც აღწერს პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის ფორმები.

სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, პასუხისმგებელია სკოლის საქმიმწარმოებელი, ამ ეტაპზე არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, თუმცა მომსახურეობას უწევს რესურსცენტრის შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი ( წერილი MES 4 25 0000319162, 21.03.2026წ.)

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი მოთხოვნის შესაბამისად, სკოლას გააზრებული აქვს, რომ აღნიშნულ პოზიციაზე უნდა განსაზღვროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი , ამიტომ შუამდგომლობის წერილით მიმართა რესურსცენტრს, რათა შეთავსებით მიამაგრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი .

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

მოსწავლეთა და პერსონალის პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან, დაცულ ოთახში. კომპიუტერები, რომლებშიც მუშავდება კონფიდენციალური ინფორმაცია მიუწვდომელია გარეშე პირთათვის, დაცულია შესაბამისი პროგრამული პაროლებით და კოდებით. პროგრამული განახლების სისტემებით. ინფორმაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ აღნიშნულ პორტალზე დარეგისტრირებულ პირს. სკოლას აღნიშნულ საკითხებზე საორიენტაციოდ აქვს დამტკიცებული სკოლის საქმისწარმოების დებულება.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

ექსპერტთა მიერ დოკუმენტების შესწავლითა და სკოლის წარმომადგებლებთან გასაუბრებით, დადგინდა , რომ სკოლაში არ მიმდინარეობს უსაფრთხოების მექანიზმების შეფასება, მიუხედავად იმისა , რომ სკოლის ეზო შემოსაზრცრული და დარაჯისა და მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ უსაფრთხოების დაცვას, **გამომდინარე , იქიდან, რომ სკოლა არ ჰყავს მრჩეველთა საბჭო.**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , **როგორც არ შეესაბამება.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა , რომელშიც განსაზღვრული აქვს ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრელად ვადა 2026 წლის ივნისი _ 2026 წლის სექტემბერი და ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უკვე გადადგა ქმედითი ნაბიჯები.

გამომდინარე იქიდან , რომ სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები და გაითავისა რამდენად მნიშვნელოვანია, არსებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტურობის პერიოდული შეფასება, რათა შეფსების ანალიზის საფუძველზე დროულად იქნეს მიღებული ზომები მექანიზმების გასაუმჯობესებლად, ექსპერტები იზიარებენ სკოლის პოზიციას , შესაბამისად ,ინდიკატორი შეფასდა როგორც **შეესაბამება.**

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შინაგანაწესი;
2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
3. საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;
4. დამლაგებლის ხელშეკრულება;
5. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების მოთხოვნით **(წერილი 21/02/2026 MES 4 26 0000200874)**
6. ლევან სამხარაულის ეროვნულ ბიუროში წერილი (**17. 02.2026წ)**
7. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიში (წერილი **20/02/2026MES 1 26 0000196426)**
8. წერილი ვიდეო-სამეთვალყურეო კავერების დამონტაჟების შასახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ექსპერტთა ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, მის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდია № N 44.04.22.014. დაზუსტებული **17855.00 კვ.მ..** მასზე განთავსებულია ძირითადი და დამხმარე შენობა-ნაგებობები:

**შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:**

N1 საერთო ფართობი 526.11კვ.მ;
N2 გაშენების ფართობი 101.7კვ.მ;
N3 გაშენების ფართობი 6.0 კვ.მ;
N4 გაშენების ფართობი 3.75 კვ.მ.

ვიზიტისას ექსპერტების მიერ დათავლიერებულ იქნა ინფრასტრუქტურა.
შენობა- ნაგებობა ერთრთულიანია. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი კაპიტალურად შემოღობილი ეზო, ღია სპორტული მოედანი.
ეზოში დგას ოთხი შენობა-ნაგებობა. აქედან ერთი ძირითადი სასწავლო კორპუსი, საქვაბე და ორი გაუქმებული გარე საპირფარეშო.
შენობის პირველ სართულზე განთავსებულია: 6 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, , ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები , რესურს ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი.
სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას - 70 მოსწავლეს.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი ( 2026 წლის 12 იანვრის N 28 ბრძანება) .
სკოლის შენობას არ აქვს შიდა და გარე პანდუსები, დირექტორმა ინტერვიუში აღნიშნა , რომ მას გაგზავნილი აქვს წერილობითი მიმართვა მუნიციპალიტეტში, შენობაში შესასვლელი პანდუსის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.
სასკოლო საზოგადოებისაათვის ხელმისაწვდომია არსებული საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის . ძირითდი საერთო მოხმარების სივრცეები : ექიმის კაბინეტი, სასადილო დარბაზი, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი, რომლითაც სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ .

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა , რომლის მიხედვითაც პანდუსის დამონტაჟების ვადები მოიცავს 25.02.2026 წ. .-22.02.2027 წ. პერიოდს.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი პატარა ბიბლიოთეკა, იგი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, მიეწოდება უწყვეტი ინტერნეტი. ასევე აქვს მწირე წიგნადი ფონდი.

სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, რადგან მცირეკონტინგენტიანია და არ არის დაშვებული შესაბამისი შტატი, დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი( ბრძანება № 2-28. 20. 07.2023 ბრძანება) , რომლითაც ხელმძღვანელობენ პედაგოგები . შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ასევე გამოკრულია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები.

წიგნადი ფონდი კალსიფიცირებულია დებულების თანახმად, აღწერილი და გატარებულია ჟურნალში. ჩვენ მიერ დათვალიერებული იქნა მხოლოდ მცირე ნაწილი. ყველა წიგნი დაშტამპული და ბეჭედდარტყმულია მე-17 გვ-ზე.

ასევე , დაწყებული აქვთ ელექტრონული კატალოგის შექმნა , ბიბლიოთეკარი აწარმოებს მკითხველის ბარათს . მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ელექტრონული , ციფრული ბიბლიოთეკით.

ბიბლიოთეკის კეთილმოწყობილი სივრცე მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს სკოლის ბაზაზე განახორციელონ, სოციო-კულტურული და შემეცნებითი აქტივობები .

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა ერთსართულიანია ამიტომ ერთგვარად ქმნის ადაპტირებულ ინფრასტრუქტურას . ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰქონდა შენობის შიდა სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშოები, სკოლას არ ჰყავს შშმ მოსწავლე , ჰყავს მხოლოდ 1 სსსმ მოსწავლე. სკოლა ნაწილობრივ ქმნის ადაპტირებულ გარემოს . აქვს ადაპტირებული სველი წერტილი , ასევე, კეთილმოწყობილი რესურს ოთახი , რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით.

ამ ეტაპისთვის სკოლას არ აქვს შენობაში შესასვლელი გარე პანდუსი . სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა , რომლის მიხედვითაც პანდუსის დამონტაჟების ვადები მოიცავს 25.02.2026 წ. .-22.02.2027 წ. პერიოდს. სკოლას აღნიშნულთან მიამართებაში მიეცა რეკომენდაცია , მის მიერვე წარმოდგენილი შესაბამისობის გეგემაში გაწერილ ვადაში უზრუნველყოს შენობაში შესასვლელი პანდუსების დამონტაჟება. **შესაბამისად,**

**ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შენობაში შესასვლელი პანდუსის დამონტაჟება შესამამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში, 25.02.2026 __ 22.02.2027წ.-მდე.**

**5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ.
სკოლას აქვს მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი დიდი ეზო, ღია სპორტული მოედანი, რომელზეც იმართება სპორტული აქტივობები და შეჯიბრებები, მოსწავლეებს საშუალება აქვთ, განახორციელონ სოციალურ-კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, თუმცა , გამომდინარე იქიდან, რომ მცირერიცხობვანი კლასები აქვთ ,საკლასო ოთახებსა და სპორტულ დარბაზს იყენებენ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებელ სივრცედ.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 20.02 .2026წ ;
2. საინვენტარო აღწერილობის აქტები;
3. ინვენტარიზაციის შედეგების ოქმი;
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (2026 წლის 12 იანვრის N 26 ბრძანება);
5. ფოტომასალა.
6. წერილი პანდუსის მოწყობის თაობაზე
7. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი( 2026 წლის 12 იანვრის N 28 ბრძანება) ;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სრულად რეაბილიტირებულია  და შესაბამისად , როგორც ინფრასტრუქტურა, როგორც საგანმანათლებლო სივრცეები , ასვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მხრივ სრულად გამართულია და უსრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას.სკოლას აქვს  უწყვეტი კავშირის ინტერნეტქსელი, დამონტაჟებულია  როუტერები, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ასევე, კომპიუტერული ლაბორატორია,  რომელიც აღჭურვილია გამართული კომპიუტერებით.

სკოლას აქვს გამართული  მატერიალურ-ტექნიკური ბაზა  :

1. პერსონალური კომპიუტერი 4
2. ბუკი 1
3. პროექტორი 1
4. პრინტერი 2

სკოლის ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი,  სამასწავლებლო,  დირექცია  და ადმინისტრაციული სივრცეები  აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით და  საჭიროების შემთხვევაში თითოეული ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისთვისა და მოსწავლეებისთვის. სკოლას ჰყავს  საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტექნიკური პრობლემების მოგვარებას, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის  ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

**ინდიკატორი  აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლა უზრუნველყოფს არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიასთან გამოკრულია  მატერიალური_ტექნიკური  რესურსებით სარგებლობის წესები და ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

**ინდიკატორი  აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგია (2023 წლის ივნისში) , რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმის წარმოების წესსა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსს. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი შიდა წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს.
სკოლას აქვს კანცელარია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. მას მინიჭებული აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას.
საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას, აწარმოებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას , მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას. იღებს შემოსულ კორესპოდენციას, ამუშავებს და არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში; უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას .
ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა როგორც მატერიალური ჟურნალები ასევე სკოლის Eflow-ის გვერდი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა ჟურნალი იყო დანომრილი, აკინძული და ბეჭედდარტყმული. სკოლის მიერ გაცემული სამართლებრივი აქტების ნომერი და თარიღი თანხვედრაში იყო როგორც მატერიალურ ჟურნალში , ასევე Eflow-ის ელექტრონულ ბაზაში.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - Eflow- მეშვეობით.რომელის საშუალებითაც სკოლა დროულად გადასცემს ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ასევე , ელექტრონული სისტემის (eflow) საშუალებით იგზავნება მასწავლებელთა და მოსწავლეთა სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები,ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ. აღნიშნულ ბაზასთან წვდომა აქვს საქმისმწარმოებელსა და საინფორმაციო მენეჯერს. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით, Eflow-ს სისტემასთან. სკოლას არ

ჰყავს არცერთი სტატუსშეჩერებული მოსწავლე. კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა : kotineti@mes.gov.ge.

სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც დათვალიერებულ იქნა ექსპერტების მიერ. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.ასევე ინფორმაცია მოსწავლეების, მათი მშობლების, სკოლის პერსონალის, სახელმძღვანელოების, სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოსა და თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შესახებ

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა მუდმივად და დროულად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. რომელთანაც ურთიერთობს ანგარიშგებისა და თანამშრომლობითი სახით დადგენილ ვადებში, 10 დეკემბრისთვის, და უფლებამოსილების ფარგლებში. კერძოდ, სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ანგარიში განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარუდგენს ყოველწიურ ანგარიშს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. ასევე დადგენილ ვადებში აწვდის ინფორმაციას ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს იჯარის ფორმით ფართის გადაცემის შესახებ.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საქმის წარმოების წესი(2023 წლის ივნისი)

2. საქმის მწარმოებლის ხელშეკრულება;
3. დეკემბრის ანგარიშები;
4. eSchool.emis.ge სკოლის პროფილი
5. Eflow-ში დოკუმენტ-ბრუნვა
6. ელ.ფოსტა: kotineti@mes.gov.ge
7. სკოლის ვებგვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1670?schoolName

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი ( 2024 წლის N31 ბრძანება) , რომელშიც აღწერილია ინფორმაციის სკოლის სახელით გავრცელების რეგულაციები.

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1670?schoolName , რომელზეც განთავსებული აქვს სანდო და უტყუარი ინფორმაცია. ასევე აქვს სოციალური ქსელის გვერდი - Facebook, რომელიც წარმოადგენს სკოლის საკომუნიკაციო სივრცეს, ორივე პლატფორმაზე მუდმივად თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების, სასკოლო აქტიური ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ან პირდაპირი კომუნიკაციისას.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება ინფორმაციის გაცემა -გავრცელების საკითხს. ინფორმაციას საინფორმაციო დაფებზე, სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე აქვეყნებს პასუხისმგებელი პირი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მხოლოდ სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას .

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების აზრი, ამიტომ საკომუნიკაციო არხებიდან ეს იქნება (facebook) დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა, სკოლის კანცელარია, რომელის საშუალებითაც შესაძლებელია დამყარდეს ორმხრივი კომუნიკაცია, შემოსული ინფორმაცია თავს იყრის საინფორმაციო მენეჯერთან და საქმისმწარმოებელთან, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას სკოლის დირექციას. მუშავდება შემოსული ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1670?schoolName , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზე,

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/1670?schoolName განთავსებულია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ბიუჯეტი, საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას არ აქვს ვებ-გვერდძე განთავსებული :

- პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი),
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,
- მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები,
- სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები .

ზემოაღწერილიდან გამომდინარე დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , **როგორც არ შეესაბამება.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადად მითითებული აქვს 2026 წლის ივნისი - 2026 წლის ივლისის პერიოდი.

ვებგვერდის დათვალიერებით დადგინდა, რომ კოლამ აღნიშნულ ვადაში შეძლო ჩამოთვლილი დოკუმენტების განთავსება .

შესაბამისად ,

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.
2. სკოლის ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1429

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დირექტორი ყოველი წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის ბიუჯეტს. . ბიუჯეტი იგეგმება რეალური გაანგარიშებების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე, ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას სკოლა ითავლისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს და წინა წლის გამოცდილებას.
თანხების განკარგვა ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე. თანხა ასევე გათვალისწინებულია საოფისე ხარჯებზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა იღებს დამატებით დაფინანსება სამინისტროსგან.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

.

**2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს.

სკოლის ბიუჯეტში ძირითად შემოსავლებს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსებიდან, სამინისტროს მიერ მიზნობრივი დახმარების პროგრამებიდან .

რეალური შემოსავლები ზუსტდება წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ და გეგმის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში სკოლა მიმართავს რესურსცენტრს.

სკოლას დამტკიცებული აქვს შესყიდვების განხორციელების წესი, რომლის თანახმადაც, ფინასური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მართვის მიზნით, სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით მუშავდება და მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. შესყიდვებამდე სკოლის ბუღალტერი ატარებს ბაზრის კვლევას , ასევე ადგენს სკოლის საჭიროებს. ფინანსური რესურსების ამგვარი გეგმა ურუნველყოფს რეალური საჭიროებებისა და ხარჯების განსაზღვრას და ცდომილების მინიმუმამდე დაყვანას. სკოლას აქვს შესყიდვების შიდა მონიტორინგის მექანიზმი. საჭიროების შემთხვევაში ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება ან/და შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილება, რომელსაც დადგენილ ვადებში წარადგენს ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურში.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის ბიუჯეტი.
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე.
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშის წარდგენაზე;
4. შესყიდვების გეგმა და შესყიდვების განხორციელების წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება,.
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები როგორიცაა შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია, გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა, ბიბლიოთეკის დებულება და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. ყველა შიდა სასკოლო რეგულაცია ემსახურება სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებას და მათი ინტერესების დაცვას.

ასევე სკოლა ხელმძღვანელობს მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დოკუმენტით , რომელიც არეგულირებს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის პროცესებს.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი , რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებელი პირი სკოლის საქმისმწარმოებელია. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც მოსწავლეთა ჯანმრთელობის და პირველადი სამედიცინო დახმარების გარანტია, ასევე არსებობს სამედიცინო დახმარების წესი. სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვას არეგულირებს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“, რის საფუძველზეც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლებებსა და კანონიერ ინტერსებს. როგორც სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა , შინაგანაწესის გაცნობა ხდება მშობელთა კრებაზე, სასწავლო წლის დასაწყისში. ასევე გამოკრულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე. ასევე ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე.

სკოლის დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას. კომიტეტი შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან.

სკოლის შინაგანაწესის გაცნობა აუცილებელია ახალი თანამშრომლის მიღებისას, ხოლო მოსწავლის ჩარიცხვისას მშობელს აცნობს კლასის დამრიგებელი.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ექპრეტების მიერ შესწავლილი იქნა სამივე საფეხური სკოლის მიერ მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდ გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. რაზე შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელის მოწერით, ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად , ერთი რჩება როგორც წესი სკოლაში - მეორე ეძლევა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ასევე სკოლას მშობელთან დადებული აქვს შეთანხმება მოსწაველეთა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების , ფოტო-ვიდეო მასალის გამოქვეყნების უფლების შესახებ.
ასევე ხელშეკრულებები ფორმდება: სახელმძღვანელოების გადაცემასას , მიღება - ჩაბარების აქტები კი _ „ჩემი პირველი კომპიუტერის“, პირველკლასელი მოსწავლეებზე კომპიურეტების გადაცემისას.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შინაგანაწესი;
2. პედასაბჭოს ოქმიN1
3. დამრიგებლის მშობლებთან შეხვედრის ოქმი N1.
4. სამედიცინო დახმარების წესი;
5. სამედიცინო მოხმარების წესის დამტკიცების ბრძანება;
6. დისციპლინური კომიტეტის ოქმი 1
7. მშობლებთან დადებული ხელშეკრულება;
8. მშობლების თანხმობის ფორმა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ;
9. პირველკლასელთა კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი;
10. სახელმძღვანელოების მიღება- ჩაბარების აქტი;

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი, რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი

დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს.
სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს არეგულირებს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე . ამ გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გეგმაში გაწერილი მიზნების შესაბამისად ხდება სსსმ მოსწავლის შეფასება, რაც საფეხურის დაძლევის საფუძველია.
ზემოაღნიშნული შიდა რეგულაციები შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებას და ეროვნულ სასწავლო გეგმას.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობისა და მის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული მექანიზმების შესაბამისად იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესს. მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.
მობილობის განხორციელება ხდება კანონმდებლობისა და შიდა მქექანიზმების საფუძველზე. მექანიზმებში გაწერილი პროცედურების განხორციელება ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში, შესაბამის გრაფებში ინფორმაციის შეტანით. სკოლაში ყველა მოსწავლეზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელია კლასის დამრიგებელი.
**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

საასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმას და ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. ასევე აცნობენ სკოლის მიერ შეთავაზებულ მომსახურების სერვისებსა და პირობებს.
მაგალითისთვის: მეოთხე კლასის ბოლოს მეორე/მესამე ენისა არჩევის უფლებას და კლუბების არჩევის შესაძლებლობას.
**დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მეოთხე კლასის ბოლოს სათვაზობენ სამი ენის (რუსული, იტალიური და გერმანული )არჩევას. თუმცა , მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა რუსულ ენას სთავაზობს და შესაბამისად , მეორე უცხო ენად რუსულს ირჩევენ .**

ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შესწავლილი დოკუმენტების შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს მედიაწიგნიერებისა კლუბი „კრიტიკული თაობა“ და მათემატიკის წრე. სკოლამ წარმოადგინა კუბის დებულება, ასევე წევრობის ანკეტა, თუმცა ,როგორც უცხო ენების არჩევის შემთხვევაში, მშობლებთან ინტერვიუთი ვერ დადასტურდა კლუბებისა და წრის ფუნქციონირება.
ექსპერტთა აზრით სკოლისმიერ წარმოდგენილი კლუბების მიერ განხორციელებული აქტივობები , საგაკვეთილო პროცესებშია ჩაშებუნებული, რაც თვის მხრივ ბუნდოვანს ხდის კლუბების ფუნქციონირებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია , გაიწეროს კლუბების / წრეების სამუშაო გრაფიკი, განისაზღვროს კონკრეტული დღეებია და საათები.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ განხორცილებული საქმიანობა საჯაროა. სკოლაში არსებული კლუბების, წრისა თუ სხვა დამატებითი სერვისების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. სკოლის საინფორმაციო დაფა;
4. მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;
5. კლასიდან კლასში გადასვლის, საფეხურის დაძლევის ბრძანებები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები ახლად მიღებული მოსწავლის ადაპტირებისთვის. დოკუმენტში ცალკეულ მუხლებად არის გაწერილი პირველკლასელთა ადაპტაცის (მუხლი 4) , სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია(მუხლი 5 ), მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია(მუხილ6),
ადაპტაციის წესში დეტალურად არის განსაზღვრული სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები, მათი განხორციელების პროცედურები და პრობლემის გადაჭრის გზები. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით, დადასტურდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს ზემოაღნიშნული დოკუმენტით და აღწერილ მექანიზმებს იყენებს მოსწავლეთა ადაპტაციის ხეშესაწყობად. მოსწავლეები აღწერდნენ დამრიგებლის ჩართულობასა და მის მიერ განხორციელებულ აქტივობებს: გარემო დათვალიერება/გაცნობა, შინაგანაწესის გაცნობა, კლასელებთან წარდგენა ... მათ აღნიშნეს, რომ პირველივე დღიდან ძალიან უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს, მალევე დაუმეგობრდნენ თანაკლასელებს და მასწავლებლებს.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

კოტიანთისსაჯარო
სკოლა დასკვნა 22.0

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის წარმომადგენლებთან საუბრისას დადგინდა, რომ მოსწავლეთა სასწავლო გარემოს მიმართ ადაპტაციაზე პედაგოგები ზრუნავენ . კლასის დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმა, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. წლის დასაწყისშივე აცნობენ შინაგანაწესს , ეხმარებიან სკოლაში ადაპტაციის პროცესში, ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას. გარემოს გასაცნობად დამრიგებელი მოსწავლეს ათვალიერებინებს სკოლის შენობას და სასკოლო რესურსებს. აცნობს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებით და სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესებს. ასევე, დამრიგებელი ინფორმაციას აწვდის და ეხმარება მოსწავლეს გაწევრიანდეს კლუბებში.
რაც შეეხება პირველკლასელთა მიღებას და ადაპტაციას, სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში მათთვის ეწყობა ღია კარის დღეები, ათვალიერებენ სკოლას, სასწავლო გარემოს, ეცნობიან სკოლის ისტორიასა და დამკვიდრებულ წესებს. მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით ეწყობა საზეიმო მიღება, ხოლო დამრიგებლები საკლასო ოთახს აწყობენ საზეიმოდ.

.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ხარისხის შემოწმების მექანიზმები. მათი გამოყენებით სკოლა იკვლევს სწავლის ხარისხსა და ადგენს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების საჭიროებებს , რათა შესაბამისი აქტივობების დაგეგმვით(დამატებითი მეცადინეობები, კონსულტაციები ) ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. ასევე, დამრიგებლები ოპერატიულად აწვდან ინფორმაციას მშობელსაც,რომლებთანაც ,ფაქტობრივად, ყოველდღიური კომუნიკაცია აქვთ , რათა მისი მხრიდანაც მოსწავლემ მიიღოს სათანადო მხარდაჭერა. სკოლა აკადემიური ხარისხის გასაუმჯობესებლად , საჭიროების შემთხვევაში, იყენებს რემედიაციას დიფერენცირებული სწავლების მიდგომებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სადიაგნოსტიკო ტესტები, რემედიაციის პროგრამა .

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. კერძოდ, ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის, სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ.
სკოლა ორიენტირებულია სწავლების ხარისხზე და მუდმივად მზადყოფნაშია მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად განახორციელოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა აკადემიური თუ საორგანიზაციო კუთხით. საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მზაობა კონსულტაციები გაუწიოს მოსწავლეებს ექსტერნატის გამოცდების წინ. ასევე , გამოყოს სასკოლო სივრცეები აქტივობების განსახორციელებლად.
სსსმ მოსწავლის შემთხვევაში საგნის მასწავლებლები ცდილობენ დავალებების მორგებას - ადაპტირებას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლას 1 სსსმ მოსწავლე ჰყავს. მულტიდისციპლინარული ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სპეციალური მასწავლებელი წინასწარ შედგენილი გრაფიკის საშუალებით ახორციელებს სსსმ მოსწავლესთან დამატებით მუშაობას რესურს ოთახში. როგორც სპეცმასწავლებელთან საუბრისას დადგინდა, ყველა გატარებული ღონისზიების შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ მათი მშობლები.
**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალური აქტივობების განხორციელებას.

სკოლა მხარს უჭერს იმ საგანმანათლებლო ინსტიტუციას, რომელიც ხორციელდება მოსწავლეთა ინიციატივითა და მხარდაჭერის გზით, რაც არაფორმალური განათლების მიღების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს. სკოლა საერთო ინტერესების გარშემო მოსწავლეთა გაერთიანებას ახდენს არაფორმალური განათლების მიღებით. კერძოდ, ტრდება შემოდგომისა და საახალწლო ზეიმები, მოეწყო თოჯინების თეატრი, სკოლის ეზოს გამწვანება, აქცია ,,დედამიწა ჩვენი სახლია".

სკოლის სოციალურ გვერდზე ატვირთულია აქტივობების განხორციელების ამსახველი ფოტოები. სკოლას ჰყავს ადამიანური რესურსი პროფესიონალი პედაგოგებისა, რომლებიც არაფორმალური სასწავლო აქტივობების საშუალებით ახდენენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასკოლო სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებსა და წინა წელს შეთავაზებული სერვისებით/პროგრამებით კმაყოფილებას და უკუკავშირის საფუძველზე ადგენს მომსახურების გაუმჯობესების მექანიზმებს. დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეთა პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების შეთავაზებას. სკოლა მოსწავლეთა საჭიროებების დადგენისთვის იყენებს სპეციალურად შედგენილ მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარებს, რომლის ანალიზის საფუძველზეც იგეგმება გასატარებელი ღონისძიებები მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.ზემოაღნიშნული დასტურდება მშობლებთან გასაუბრებით.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
2. დაწყებითი კლასების მშობელების 2025 წლის 30 დეკემბრის შეხვედრის ოქმი N 2;
3. მედიაწიგნიერების კლუბის დებულება;
4. მათემატიკის წრიე დებულება;
5. .აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებელი ღონისძიება-რემედიაციის პროგრამა, გეგმები;
6. მოსწავლეთა ინიციატივების დაყენებისა და მხარდაჭერის ამსახველი მასალები (განცხადებები, შესყიდვების დოკუმენტი)

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ერთსაფეხურიანია , შესაბამისად, სკოლაში არ ხორციელდება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება .

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ერთსაფეხურიანია , შესაბამისად, სკოლაში არ ხორციელდება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება .

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა ერთსაფეხურიანია , შესაბამისად, სკოლაში არ ხორციელდება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება .

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მოსწავლეთა პროფორიენტაციის გეგმა(2025-2026) ;
2. კლასის საათების ჩატარების დამადასტურებელი რეფლექსია; ( დამრიგებლის პორტფოლიოები);
3. ,,სტუმრად ჩაის დამამზადებელ საწარმოში''-ფოტო;
4. სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/chxuteli/

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც ჩშენებული აქვს სასწავლო გეგმის დოკუმენტში. მასში გაწერილია სსსმ და შშმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. სასწავლო წლის დასაწყისში დგება სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას.

ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას ჰყავდა 1 სსსმ მოსწავლე, რომელიც ჩართულია ზოგად საგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად.

სკოლას სპეცმასწავლებელი ჰყავს თებერვლიდან , ამიტომ მეორე სემესტრიდან შეიქმნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ა დაფუძნებულია მულტიდისციპლინარული ჯგუფის დასკვნაზე და მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და მისი მიღწევის გზებს.

ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი , რომელიც ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულების შესაბამისად, ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს სასწავლო წლის განმავლობაში .

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტები, ასევე, მოსწავლისთვის შექმნილი რესურსები და მოსწავლის ნამუშევრები. შედარებული იქნა ინდ გეგმაში გაწერილ აქტივობებთან.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად საგნის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ მიღწეულ შედეგებსა და ეფექტურ სტრატეგიებს. ასევე, სკოლაში შექმნილი ისგ ჯგუფი იკრიბება სამუშაო შეხვედრებზე წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ, საჭიროებიდან გამომდინარე განიხილავენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, მოდიფიცირებისა თუ სწავლების საკითხებს,მოსწავლის პროგრესსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლა მშობელს მუდმივ რეჟიმში აწვდის ზეპირი კომუნიკაციის გზით ინფორმაციას მოსწავლის პროგრესსა და მიღწევებზე. სასწავლო წლის ბოლოს ისგ ჯგუფის კოორდინატორი პედაგოგიურ საბჭოს, მშობელს და დირექტორს წარუდგენს ანგარიშს მოსწავლის პროგრესსა და სწავლების შედეგებზე. კლასის საათზე გარკვეული დრო ეთმობა ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას.

როგორს სპეცმასწავლებლებთან ინტერვიუდან დადგინდა, სსსმ მოსწავლის ინტეგრაციის მიზნით, საკუთარი ინიციატივით, აქტიურად არიან ჩართული ტიპური განვითარების მოსწავლეებიც. სკოლის მასწავლებლების ხელშეწყობით თითოეულ კლასში, შექმნილია მეგობრული, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემო, სწავლება კი მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომით.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მულტიგუნდის დასკვნა მოსწავლის გადაფასების შესახებ დანართი N 1
2. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
3. სსსმ მოსწავლის წინსვლის და მხარდაჭერის აღწერის დოკუმენტი;
4. სპეც.მასწავლებლის პორტფოლიო.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტით მომსახურებას, მათზე მორგებული გრაფიკით.
   სხვა დამატებით/არასავალდებულო მომსახურებას სკოლა ამ ეტაპისთვის არ სთავაზობს.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   ტრანსპორტით მომსახურეობა ხდება ნებაყოფილობითობის პრინციპის დაცვით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება მძღოლსა დამუნიციპალიტეტის მერიას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

   **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აქვს სატრანსპორტო კომპანიასა და მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე მათ შორის არის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების ნორმების დაცვის და უსაფრთხო გადაადგილების ვალდებულება.
ყოველდღიური ტრანსპორტირების შემოწმება ხდება ტრანსპორტირების უწყისის წარმოებით, მონიტორინგს ახორციელებს გამოყოფილი პირი . მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ტრანსპორტირების ტაბელები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი** | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. აღნიშნულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია კონცეპტუალური ჩარჩოსა (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია) და კურიკულუმის დიზაინზე (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში). მეთოდოლოგია დეტალურად აღწერს სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურულ კომპონენტებსა და იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებზე დაყრდნობითაც მიმდინარეობს მისი სრულყოფა. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი კურიკულუმის განვითარების ეტაპები და რევიზიის მექანიზმები. ამავე დოკუმენტით რეგულირდება მომდევნო აკადემიური წლისთვის სასწავლო პროგრამების, მისაღწევი მიზნებისთვის აუცილებელი ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის პროცესი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრებზე, ურთიერთთანამშრომლობისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების გამოხატვას კულტურულ, სპორტულ და

საზოგადოებრივ ღონისძიებებში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მრავალფეროვანს ხდის სასწავლო გარემოს. მნიშვნელოვანია მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე. ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სკოლაში კურიკულუმის შემუშავებისას საგნობრივი კათედრებზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, ასაკობრივ თავისებურებები და აკადემიური უნარები, განსაზღვრულია კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსები, გეგმავენ სასკოლო ღონისძიებებს (პროექტი, კლუბური მუშაობა). სკოლაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენელისა და მასწავლებელის ინტერესების დადგენა, რაც აისახება საგნობრივ კურიკულუმებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებული და გათავისებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმისა შემუშავებისა და დახვეწის პროცესში. კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, მისი შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და გაზიარებულია სოციალური ქსელების საშუალებით ( მშობელთა მესენჯერის ჯგუფებში).

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი;

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმი N1;
- კითხვარი მშობლებისთვის -სასწავლო წლის შეჯამება

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები; სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა/სწავლების პროცესის დაგემვაზე; საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები იდეების სახით ასახულია სავალდებულო თემებში. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები.<br><br>**რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება შესაბამისი აქტივობებით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებზე და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br><br>დაწყებით საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, „მე და საზოგადოების" საგნის (III-IV კლასი) ფარგლებში კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები ძირითადად ორიენტირებულია სწავლა - სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები, რომელთა დასამუშავებლადაც თითოეულ თემაში წარმოდგენილია ერთი შემოქმედებითი დავალება.<br><br>V-VI კლასის „ჩვენი საქართველოს" საგნის კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით. თუმცა აღსანიშნავია, რომ კურიკულუმში არ არის განსაზღვრული კონკრეტული კონტექსტ მაგალითები და საკითხთა კლასტერში საკითხების გაერთიანება მექანიკურია, რაც გადახედვას საჭიროებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**<br><br>**რჩევა:**<br>დაწყებით საფეხურზე საგან მე და საზოგადოებაში სასურველია შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება მოხდეს საკითხთან მიმართებაში.<br><br>„ჩვენი საქართველოს" საგნის ფარგლებში სასურველია შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება ისე მოხდეს, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკითხების მექანიკური გაერთიანება და განისაზღვროს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები და შემოქმედებითი დავალებების პროდუქტი. |
| უცხოური ენები | უცხოური ენების დაწყებითის საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ( ინგლისური, რუსული) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს კურიკულუმებს. კურიკულუმებში შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეებს სთავაზობს |

| | |
|---|---|
| | ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზეა მორგებული. როგორც მუსიკის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში აქცენტი კეთდება გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შემოქმედებით აქტივობებსა და დავალებებს. მსგავსი მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი, კრიტიკული და სოციალური უნარების განვითარებას. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კათედრამ წარმოადგინა ყველა კლასის კურიკულუმი, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების მიდგომას და მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების განვითარებას, პიროვნული წინსვლის ხელშეწყობასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას. იგი მოიცავს სწავლა-სწავლების სტრატეგიებსა და აქტივობებს, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს.<br>ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების გაძლიერების მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში აფასებენ წინა წლის კურიკულუმის ეფექტიანობას და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე საჭირო ცვლილებებსა და გაუმჯობესებებს გეგმავენ.<br>**რჩევა:**<br>✓ სასურველია, შემუშავებული იყოს კურიკულუმის ერთნაირი ჩარჩო;<br>✓ სასურველია, კურიკულუმს თავში მიეთითოს სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა(ორივე);<br>✓ საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო;<br>✓ გრაფა „მაგალითები შედარებისათვის“ არ არის საჭირო; |

| | |
|---|---|
| | ✓ საათების მითითება არ არის საჭირო;<br>✓ ქვეცნებებისა და ქვესაკითხების გამოყოფა არ არის სავალდებულო;<br>✓ სასურველია, თითოეულ თემაზე ყველა ცნება დამუშავდეს, ამიტომ კურიკულუმში თითოეულ თემაზე მიეთითოს ყველა ცნება(მაგ. 1-ელ კლასის კურიკულუმში არ არის ცნებები გრამატიკა(პრაქტიკული), კოდირება-დეკოდირება; მე-2 კლასის კურიკულუმში არ არის ცნება გრამატიკა);<br>✓ სასურველია, საკითხი, შემოქმედებითი დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითი, რესურსები გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. საკითხი იყოს სახელდებითი ფორმით, თუ რა უნდა ისწავლოს მოსწავლემ (მაგ. პერსონაჟის დღიურის შექმნა მოთხრობა „იას“ მიხედვით), ხოლო შემოქმედებითი დავალების იდეაში დაიწეროს შემოქმედებითი დავალების პირობა კრიტერიუმებამდე;<br>✓ კონტექსტ მაგალითში ჩაიწეროს რაზე დაყრდნობითაც ასწავლით, იმ რესურსის/ტექსტის მხოლოდ სათაურები (მაგ. არჩილ სულაკაურის ,,ბიჭი და ძაღლი'', ფილმი „ძაღლი“). რესურსებში კი კონკრეტულად უთითებთ, სად არის ეს მასალა განთავსებული (მაგ. სახელმძღვანელო, გვ. 14–17, ფილმის ლინკი). რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებთ;<br>✓ სასურველია, გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი რესურსები. ხშირად რესურსებში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული;<br>✓ სასურველია, შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა. მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში, თითოეულ ცნებასთან მიმართებით, რა ფასდება დავალებაში;<br>✓ ისგ- ში, მოსწავლის პროგრესის შეფასებაში(მიღწევის აღწერაში) ნაცვლად იმისა, რა უნდა ისწავლოს/შეძლოს მოსწავლემ, უნდა ჩაიწეროს, თუ რა ისწავლა/შეძლო მან განვლილ სემესტრში.<br>კათედრის წარმომადგენლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ აღნიშნულ რჩევებს სამომავლოდ კურიკულუმების შედგენისას გაითვალისწინებენ.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| მათემატიკა | მათემატიკაში დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების დაგეგმვა და განვითარების გზა. კლასების მიხედვით წარმოდგენილია |

| | |
|---|---|
| | თემები, სამიზნე ცნებები - მათზე მორგებული შემოქმედებითი დავალებები და შესაბამისი რესურსები.ასევე შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია რძელვადიანი მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ შესრულებული აქვთ სხვადასხვა აქტივობები,თუ პროექტები. წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად შეესაბამება სტანდარტებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაწყებითი საფეხურის კლასებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ. სტანდარტებს).<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმი მოიცავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითად პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელოვან ასპექტებს. კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუმცა შესაბამისი მიდგომების გამოყენება ყოველთვის არ არის თანმიმდევრული და სისტემური. სასწავლო აქტივობები ნაწილობრივ უწყობს ხელს სხვადასხვა უნარის განვითარებას, თუმცა მათი მრავალფეროვნება და პრაქტიკულობაზე ორიენტირება საჭიროებს გაძლიერებას. შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია, თუმცა მათი გამოყენება არ იძლევა მოსწავლეთა პროგრესის სრულყოფილი მხარდაჭერის შესაძლებლობას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილი და შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განვითარებას. შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს.<br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

**2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, რომელიც წარმოდგენილია ცნებების იერარქიის სახით. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. სასწავლო პროცესში ჩანს შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარების განვითარება, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საგნობრივი ჯგუფის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, ძირითადად, გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ემსახურება საფეხურის სამიზნე ცნებების სიღრმისეულად გააზრებას.<br>ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებას. სასკოლო პროექტი: „ჩვენი სოფლის მწვანე მცველები“; ქსელური პროექტი -„გაიცანი საქართველო“.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში თემები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალებები გამოყენებულია როგორც შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის საშუალება. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა უნარების არა მხოლოდ გააქტიურებას, არამედ მათ გააზრებასა და განვითარებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში დაცულია კურიკულუმის სტრუქტურა, გათვალისწინებულია სავალდებულო თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები, საკითხები და |

| | |
|---|---|
| | ქვეცნებები. სტანდარტებთან შესაბამისობა მკაფიოდ იკვეთება, რასაც კათედრასთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებიც ადასტურებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და ორიენტირებულია ეროვნული სტანდარტებით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნების მიღწევაზე. სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატური ბლოკების ფარგლებში, თემის, როგორც სტრუქტურული ერთეულის, კონტექსტის გათვალისწინებით და ემსახურება საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებების განვითარებას. კურიკულუმი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს, ხოლო მასში წარმოდგენილი თემატური ერთეულები და შემოქმედებითი აქტივობები ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ჰოლისტურ განვითარებას.<br><br>**რჩევა** - სასურველია, რომ სახელმწიფო ენის კათედრამ ყველა კლასის კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| მათემატიკა | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ-ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე.წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან,რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას.<br><br>დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ-ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე.წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან,რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას.<br><br>დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ-ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე.წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან,რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას. |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმებში ასევე მიზნებთან შესაბამისობაშია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებაზე და საგანთა შორის ინტეგრირებაზე. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის ორგანიზებას და ურთიერთთანამშრომლობას;რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას.<br>**რჩევა:** მე-3 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები დასაზუსტებელია ესგ-ს მიხედვით თემებთან მიმართებაში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგი შეძლებს სრულყოფილად მიზანზე გასვლას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. კურიკულუმში წარმოდგენილია სასწავლო მიზნები, მოსალოდნელი შედეგები, სწავლა-სწავლების სტრატეგიები და შეფასების მექანიზმები, თუმცა მათი ურთიერთკავშირი ყველა შემთხვევაში საკმარისად მკაფიოდ არ იკვეთება. ციფრული წიგნიერების, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება გათვალისწინებულია, თუმცა შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება საჭიროებს მეტად თანმიმდევრულ მიდგომას. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის დაფიქსირებას, თუმცა მიღებული მონაცემების გამოყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ყოველთვის არ არის სრულად წარმოჩენილი<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა** - სასურველია, კათედრამ, ქართული ენის საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; საკითხი და დავალების იდეა ერთსა და იმავეს წარმოადგენს, ასევე, საკითხთა კლასტერი და მაგალითები შედარებისთვის არ არის საჭირო.<br><br>ბუნებისმეტყველების საგნობრივი მიმართულებით **კურიკულუმებში სწორად აისახოს სახელმძღვანელოს ავტორები.** ესგ–ს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებები დაზუსტდეს, თითოეულ თემაში აისახოს ყველა სამიზნე ცნება.<br><br>მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი მიმართულებით, თემები და საკითხები დაზუსტდეს კლასების მიხედვით, საათების რაოდენობა აისახოს თემებში.<br><br>სასურველია, ყველა საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმებს თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.<br><br>სასურველია, კურიკულუმებში აისახოს იმდენი შემოქმედებითი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფის მიმართულებით ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში ჩაშენებულ რესურსებში ჩანს, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ელექტრონული რესურსები; მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები -სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები, ციფრული თუ ბეჭდური საშუალებები - შერჩეულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. თითოეული რესურსი შეესაბამება საგნის სტანდარტებს, მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს და ხელს უწყობს როგორც ცოდნის, ისე უნარების განვითარებას. რესურსების შინაარსი, სირთულის დონე და სტრუქტურა ორიენტირებულია სასწავლო მიზნების თანმიმდევრულ და ეფექტიან განხორციელებაზე.ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსული) მასწავლებლები, წლის დასაწყისში მსჯელობენ კურიკულუმების განვითარებასთან დაკავშირებით, ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ და თავადვე ქმნიან სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში.განსაზღვრავენ შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობას კლასების მიხედვით და განიხილავენ დიაგნოსტირების ფორმას . ადგენენ სამოქმედო გეგმას კერძოდ, გეგმავენ პროექტებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს, პროფესიული ზრდისთვის ღონისძიებებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | დაწყებითი საფეხურის მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. გამოყენებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე ინტერნეტრესურსები, რაც სასწავლო პროცესს უფრო მოქნილსა და საინტერესო გარემოს ქმნის. თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტისას გამოთხოვილი მასალების ანალიზი ადასტურებს, რომ შერჩეული რესურსები ეფექტურად უწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს |

| | |
|---|---|
| | და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ საკითხების გააზრებასა და შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ტექსტები და ელექტრონული რესურსები, ხოლო მათი შერჩევა სწავლების სტრატეგიებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით ხდება. მასწავლებელთა განმარტებით, რესურსების შექმნაში მოსწავლეებიც აქტიურად მონაწილეობენ.<br>**რჩევა:**<br>სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ სასწავლო პროცესში გამოიყენოს მრავალ- ფეროვანი რესურსი.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| მათემატიკა | კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები სწორად არის შერჩეული თემასა და სამიზნე ცნებებთან მიმართებაში,რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.უხვად არის გამოყენებული ელექტრონული რესურსები ,რაც მიუთითებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებზე.გასაუბრებისას დადგინდა,რომ ნამდვილად აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.ასევე დადგინდა ,რომ სკოლას აქვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი რესურსები,რომლებიც სრულ თანხვედრაშია შესაბამის თემასა და მიზნებზე.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უკავშირდება სასწავლო მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის რესურსი, მათ შორის ციფრული მასალები, პრაქტიკული დავალებები და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები, თუმცა მათი მრავალფეროვნება და |

| | |
|---|---|
| | მიზნობრივი გამოყენება ყველა მიმართულებით თანაბრად არ იკვეთება. რესურსები ნაწილობრივ უწყობს ხელს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, პრაქტიკული უნარებისა და ციფრული კომპეტენციების განვითარებას, თუმცა მათი გამოყენების სისტემურობა და შედეგებზე ორიენტირება საჭიროებს მეტად მკაფიო წარმოჩენას. კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს და დაკავშირებულია სასწავლო პროცესის ძირითად მიზნებთან.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**რჩევა:** სასურველია, ყველა საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმები გამდიდრდეს მრავალფეროვაანი მატერიალური და ელექტრონული რესურსებით.<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები, სასწავლო მასალა კი მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მოსწავლეთა ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. პედაგოგებთან გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ ინკლუზიურ სწავლებასა და დიფერენცირებულ მიდგომებს: მოსწავლის სწავლების ტემპის, სირთულის ხარისხისა და ინტერესების შესაბამისად.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, მასალებსა და შეფასების ხერხებს, რომლებიც მორგებულია თითოეულ მოსწავლეზე, რათა ყველამ თანაბრად ისარგებლოს სწავლის შესაძლებლობებით და წარმატებით ჩაერთოს პროცესში. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს აქტივობებში, სთავაზობს მრავალფეროვან რესურსებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგი შექმნის როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის მიერ წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებების იდეები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით ქმნიან სასწავლო რესურს. შემაჯამებელი დავალებებისა და დიაგნოსტიკური წერების საშუალებით ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართავენ სათანადო ინტერვეციებს. კათედრაზე განხორციელებული პროექტები ( პროექტები , სპექტაკლები, კონკურსები) ზრდის საგნის მიმართ ინტერესსა და მოტივაციას მოსწავლეებში. კათედრაზე მოქმედებს რემედიაციის პროგრამა. კათედრას აქვს ინდივიდუალური გემით სწავლების პრაქტიკა. კათედრაზე ხორციელდება ურთიერთდაკვირვების პრაქტიკა.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | თვითშეფასების დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ი.ს.გ. გეგმისა და კათედრასთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს ეფუძნება. მასწავლებლები სასწავლო აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს და შესაბამისად ახდენენ დავალებებისა და აქტივობების ადაპტირებას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობასა და პროგრესს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ინკლუზიურობასა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე. სწავლების დაგეგმვისას გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები და მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები. სკოლაში ირიცხება ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომლის შეფასება განხორციელდა დეკემბერში. სკოლა აგრძელებს შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| მათემატიკა | კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმოდგენილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს დაწყებით საფეხურზე.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რაც ითვალისწინებს იდეებისა და რესურსების მრავალფეროვნებას . თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს.<br>სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული და შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმა, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. მათემატიკის კურიკულუმი, დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, შემოქმედებითი და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები და მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებები. სასწავლო გარემო ქმნის შესაძლებლობას ყველა მოსწავლის ჩართულობისთვის, თუმცა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა ყველა შემთხვევაში თანაბრად არ იკვეთება. გამოიყენება დიფერენცირებული სწავლების ელემენტები და სხვადასხვა ტიპის აქტივობები, თუმცა მათი დაგეგმვა და განხორციელება საჭიროებს მეტ თანმიმდევრულობას. მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი ხორციელდება, თუმცა მიღებული ინფორმაციის გამოყენება ინდივიდუალური საჭიროებების საპასუხოდ სრულად არ არის წარმოჩენილი. სასწავლო გარემო ხელს უწყობს თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემას, ხოლო მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ საქმიანობაში.<br>**ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, (ისგ და ალტერნატიული სასწავლო გეგმები), სადაც გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, გაწერილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. წარმოდგენილია ადაპტირებული დავალებები.<br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

**5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო კათედრას შუმუშავებული აქვს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი |

| | |
|---|---|
| | წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. მტკიცებულებად წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს განმავითარბელი შეფასების ეფექტიანობაზე სწავლების დაწყებით საფეხურზე, რადგან განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლის განვითარების დინამიკის ხელმშემწყობი ინსტრუმენტი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოცემულია თემატური მატრიცის ნიმუში, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებსა და საფეხურის შედეგებს. თუმცა შეფასების რუბრიკები ძირითადად ზოგადია ან მრავალკომპონენტიანი და ხშირ შემთხვევაში არ უკავშირდება კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს - აფასებს მხოლოდ მოსწავლის გარკვეულ უნარებს.<br><br>ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგი შექმნის როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული შუალედური მიზნების საშუალებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია**<br><br>**რჩევა:**<br>სასურველია, ყველა კლასსა და საგანში შეიქმნას როგორც განმსაზღვრელი (V და VI კლასები), ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის შეფასების ინდიკატორებს, კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები კი - დავალების პირობებში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს/მოთხოვნებს. |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელ და განმავითარებელს. გამავითარებელი შეფასება ხორციელდება 1-4 კლასში და მე-5 კლასის პირველ სემესტრში, ხოლო |

| | |
|---|---|
| | განმსაზღვრელი შეშეფასება გამოიყენება მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და VI კლასში. შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით როგორც წერილობითი კომენტარი, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. კათედრას შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭირვალეობას, სანდოობას<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრამ წარმოადგინა ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები,რომელსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი განმავითარებელი შეფასებისთვის ხშირად იყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. 5-6 კლასებში მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილია რამდენიმე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. ასევე ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა კათედრებზე შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და პრინციპებს. კათედრას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევასა და მოსწავლეთა პროგრესის შეფასებაზე. სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება.<br><br>**რჩევა:**<br>სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრა შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნოს იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით, რა ფასდება დავალებაში.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე შემუშავებული და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შეესაბამება მათემატიკის დაწყებითი საფეხურისათვის განკუთვნილ ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნებისათვის.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს. შეფასების პროცესში გამოყენებულია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმები, თუმცა მათი გამოყენების თანმიმდევრულობა და შედეგების პრაქტიკაში ასახვა ყველა შემთხვევაში მკაფიოდ არ იკვეთება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია და დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან, თუმცა მოსწავლეთა პროგრესის მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. უკუკავშირის მიწოდება ხორციელდება, თუმცა მისი განვითარებისკენ მიმართული ხასიათი და გავლენა სასწავლო პროცესზე საჭიროებს მეტად სისტემურ წარმოჩენას. შეფასების სისტემა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების, ციფრული კომპეტენციებისა და ტექნოლოგიური საქმიანობის შეფასებას, რაც შეესაბამება მიმართულების სპეციფიკას და კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება.<br><br>**რჩევა**: სასურველია, კურიკულუმებს, ყველა საგნობრივი მიმართულებით, თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი (პოლიტიკა).
- კურიკულუმი 1-6 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრების გეგმა და რეფლექსია;
- უცხოური ენების კათედრის ოქმი,
- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების(ინგლისური,რუსული) საგნობრივი კურიკულუმები.
- ინდივიდუალური სწავლების გეგმა.
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი.
- დიაგნოსტიკური წერის ანალიზი.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- ელექტრონული რესურსის რეფლექსია;
- უცხოური ენების კათედრაზე განხორციელებული პროექტები .
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი)
- დაწყებითი საფეხურის საზ. მეცნიერებების კურიკულუმები :მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად კურიკულუმში გაწერილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსური დავალებები, შესაბამისი აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო პროცესი ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. კურიკულუმის გაცნობისა და ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. მასწავლებელს აქვთ მზაობა, რომ მის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ყველა აქტივობა ეფუძნება კურიკულუმს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებს მეთოდოლოგია სადაც ნათლად არის გაწერილი კურიკულუმის განვითარების ფაზების კერძოდ : კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასების, გადასინჯვა , რევიზიის პროცესები და პასუხისმგებელი პირები. ამის დასტურია ასევე წარმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადე; საგნობრივი კურიკულუმები; - საგანმანათლებლო რესურსი (ძირითადი და დამატებითი ელ. რესურსები) ,მოსწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ურთიერთდასწრება კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა; მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამები.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. კურიკულუმებში მკაფიოდ იკვეთება კავშირი თემატურ ბლოკებს, თემებსა და სამიზნე ცნებებს შორის. შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში სწორად არის განსაზღვრული შუალედური სასწავლო მიზნები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეცნებების გააზრებასა და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ შესწავლას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ხორციელდება დაგეგმილი კურიკულუმის მიხედვით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | კათედრაზე სასწავლო პროცესი ხორციელდება დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები ერთობლივად განიხილავენ, საჭიროებისამებრ აახლებენ კურიკულუმს. სასწავლო წლის განმავლობაში, მოსწავლეთა საჭიროებებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირებაც.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| მათემატიკა | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია.შერჩეულია კომპლექსური და შემოქმედებითი დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. დაგეგმილია ფესტივალები, სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს სასწავლო მიზნების, აქტივობების, რესურსებისა და შეფასების ძირითად კომპონენტებს. სასწავლო პროცესში განსაზღვრულია მოსალოდნელი შედეგები, თუმცა მათი კავშირი დაგეგმილ აქტივობებთან და შეფასების მექანიზმებთან ყველა შემთხვევაში თანმიმდევრულად არ იკვეთება. გამოიყენება სხვადასხვა სასწავლო მეთოდი და რესურსი, თუმცა მათი მიზნობრივი და სისტემური გამოყენება საჭიროებს გაძლიერებას. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა და პრაქტიკული საქმიანობა, თუმცა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით პროცესის ადაპტირება სრულად არ არის წარმოჩენილი. ყურადღება ეთმობა ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა პრობლემების გადაჭრა, თანამშრომლობა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, თუმცა აღნიშნული მიმართულებების რეალიზება საჭიროებს მეტად თანმიმდევრულ მიდგომას. საერთო |

| | |
|---|---|
| | ჯამში, სასწავლო პროცესი ასახავს სასკოლო კურიკულუმის ძირითად მოთხოვნებს და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები.<br>მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ, კურიკულუმებში გაწერილია უფრო მეტი დავალება, ვიდრე რეალურად ხორციელდება.<br>**რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში აისახოს იმდენი შემოქმედებითი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.<br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

**2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს სასკოლო საზოგადოების გათვალისწინებით შემხვედრ საჭიროებებზე და ახორციელებს შესაბამის მიდგომებს სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის მექანიზმები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოვლენილ საჭიროებებზე სწრაფ, მოქნილ და ეფექტიან რეაგირებას. გაუთვალისწინებელ ვითარებაში (მაგალითად, პედაგოგის გამოუცხადებლობა), სკოლა მყისიერად ახდენს შიდა საკადრო რესურსით ჩანაცვლებას. ამასთანავე, სკოლა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სთავაზობს დამატებით მხარდაჭერას, კონკრეტულად თუ რაიმე სირთულე აქვს რომელიმე საგანში მუშაობს რემედიაციის პროგრამა, ტარდება დამატებითი მეცადინეობები და ინდივიდულური აქტივობები, რაც ასევე მშობლებთან ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა. 2026 წლის თებერვლის თვიდან აქტიურად მუშაობს სპეც. მასწავლებელი, რომელსაც ისგ-ის მიხედვით შემუშავებული აქვს განსახორციელებელი აქტივობები. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუთი დასტურდება, რომ კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა ახდენენ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო |

| | |
|---|---|
| | გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. ბუნებისმეტყველების კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია ზოგადი შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც განსაზღვრულია წინასწარ შემუშავებული სხვადასხვა აქტივობის შეფასების ინსტრუმენტები.<br><br>წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელს გააჩნია შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა, შეარჩიოს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტები და შეიმუშაოს კრიტერიუმები შეფასების კონცეფციისა და მეთოდიკური ორიენტირების გათვალისწინებით.<br><br>თუმცა აღსანიშნავია, რომ შეფასების კრიტერიუმები ზოგიერთ შემთხვევაში ზედმეტად ზოგადია და არ ამოწმებს შემოქმედებით დავალებაში მოცემულ საკითხს, რომლის კონტექსტშიც მუშავდება გარკვეული ცნებები. გარდა ამისა, V-VI კლასების კონკრეტული შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში შეფასების კრიტერიუმები სათანადოდ არ არის ასახული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**<br><br>**რჩევა:** კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმებისა და მოთხოვნების გათვალისწინება. |
| უცხოური ენები | სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას. კათედრას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი ბუნების დავალებების განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილი აქვს |

| | |
|---|---|
| | შემაჯამებელი და დიაგნოსტიკური წერის ანალიზი; რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების, თვითშეფასებისა და ვერიფიკაციის მასალების ანალიზი, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და სამართლიანი. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. განმავითარებელი შეფასების ფარგლებში თითოეულ მოსწავლეს ეძლევა ინდივიდუალური უკუკავშირი, რომელიც ორიენტირებულია მის პროგრესსა და განვითარებაზე. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ობიექტური და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული შეფასების განხორციელებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლაში შეფასების სისტემის ჩამოყალიბება სკოლის პასუხისმგებლობას წარმოადგენს და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. შეფასების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები უზრუნველყოფს პროცესის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული რუბრიკები მოსწავლეებისთვის გასაგებ ენაზეა ფორმულირებული და ხშირად მათი მონაწილეობითაც იქმნება. შეფასების სისტემაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. მოსწავლეები იღებენ დეტალურ უკუკავშირს, რაც ზრდის შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობის განცდას. სისტემა მუდმივად იხვეწება მონიტორინგისა და გადახედვის პროცესების საფუძველზე და ხელს უწყობს თანასწორი და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| მათემატიკა | მათემატიკაში დაწყებით საფეხურზე კათედრა იყენებს ,როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია და გამოიყენება სასწავლო პროცესის მოთხოვნების შესაბამისად. კათედრის წევრები ცდილობენ შეფასების პროცესში ერთიანი მიდგომების დაცვას, თუმცა პრაქტიკაში ზოგჯერ საჭიროა შეფასების მექანიზმების მეტად დახვეწა და თანმიმდევრულობის გაძლიერება.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით დანერგილი შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ითვალისწინებს შეფასების არსებით პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები დაკავშირებულია სასწავლო მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან, თუმცა მათი გამოყენების თანმიმდევრულობა და პრაქტიკაში ასახვა ყველა შემთხვევაში მკაფიოდ არ იკვეთება. შეფასების პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების დაფიქსირებას, თუმცა მტკიცებულებების მრავალფეროვნება და შეფასების შედეგების სისტემური გამოყენება საჭიროებს მეტად გამოკვეთილ წარმოჩენას. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, თუმცა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მექანიზმების გამოყენება შეზღუდულად ჩანს. უკუკავშირი გაიცემა, თუმცა მისი განვითარებისკენ მიმართული ფუნქცია და გავლენა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე სრულად არ არის წარმოჩენილი. საერთო ჯამში, შეფასების სისტემა ასახავს შეფასების ძირითად პრინციპებს და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შეფასებისას სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ, მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი.ყველა მოსწავლე ფასდება თანაბარ პირობებში. ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.<br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

**4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 5 სექტემბრის N2-40 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი- ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასების ინსტრუქცია.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა მოსწავლეების შეფასებას აწარმოებს ელექტრონული ჟურნალით, რომლის მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა ხდება არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ბრძანება N 2-40 ვერიფიკაციის მექანიზმისა და მოსწავლის შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასების ინსტრუქცია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმი 1-6 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კათედრის ანგარიში;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- უცხოური ენების კათედრის ოქმი;
- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების(ინგლისური,რუსული) საგნობრივი კურიკულუმები.
- უცხოური ენების კათედრაზე განხორციელებული პროექტები .
- კოლეგებთან ურთიერთდაკვირვების რეფლექსია.
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- კომპლექსური დავალების ანალიზი.

**2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | ბუნებისმეტყველების კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრაზე აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ბმულები მოცემულია კურიკულუმებში), რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. კათედრას აქვს მზაობა შეარჩიონ დამხმარე რესურსები, რომლებიც კონკრეტულ კლასში მოსწავლეთა საჭიროებებს შეესაბამება.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებაში იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის ძირითად (სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისტორიული რუკები, ატლასები) და დამხმარე რესურსებს, რომლებიც ინტეგრირდება გაკვეთილებში პროექტებისა და სიმულაციების საშუალებით, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას; ანალიზი აჩვენებს, რომ რესურსები სრულად აკმაყოფილებს კურიკულუმის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**<br>**რჩევა:**<br>სასურველია, კურიკულუმებში დაემატოს დამხმარე რესურსები. |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს, სასწავლო პროცესში საჭიროებისამებრ ქმნიან ელექტრონულ რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი , დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკასა და ხელოვნებაში სკოლის მიერ გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, |

| | |
|---|---|
| | ვიდეო და ფოტო მასალები ან საკუთარი ხელით დამზადებული სახალისო და საინტერესო განმავითარებელი რესურსები.<br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმებში აისახოს დამატებითი დამხმარე რესურსები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ტექსტები და ელექტრონული რესურსები, რაც უზრუნველყოფს მასალის უფრო მარტივ აღქმასა და სწავლის პროცესის საინტერესოდ წარმართვას. დაწყებით კლასებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თვალსაჩინო მასალებს, რომლებიც ხელს უწყობს დასწავლის პროცესს. რესურსების შერჩევა ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, ხოლო მათი გამოყენება ხდება საჭიროების შესაბამისად. მასწავლებელთა განმარტებით, რესურსების შექმნის პროცესში ხშირად თავად მოსწავლეებიც მონაწილეობენ.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| მათემატიკა | კურიკულუმებში წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები საჭიროებს კომპიუტერებს, ინტერვიუს დროს ეს საკითხი მკაფიოდ გამოვკვეთე. დადგინდა რომ სკოლას გააჩნია საკმარისი კომპიუტერები რაც საჭიროა შესაბამისი დადგენილი აქტივობებისთვის. ასევე აქტიურად ხდება მათი მიზნობრივად გამოყენება.სკოლა დასახელებულ სხვა რესურსებსაც ფლობდა და მიზნობრივად ხდება მათი გამოყენება.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში და დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთანა და მოსალოდნელ შედეგებთან. სასწავლო საქმიანობაში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის რესურსი, მათ შორის ციფრული |

| | |
|---|---|
| | მასალები, პრაქტიკული დავალებები და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები, თუმცა მათი გამოყენების სისტემურობა და მრავალფეროვნება ყველა შემთხვევაში მკაფიოდ არ იკვეთება. გასაუბრების პროცესში მასწავლებელმა აღწერა რესურსების გამოყენების პრაქტიკა, თუმცა წარმოდგენილი მაგალითები ყოველთვის არ იძლეოდა რესურსების ეფექტიანობისა და შედეგებზე გავლენის სრულად შეფასების შესაძლებლობას. რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და გარკვეული უნარების განვითარებას, თუმცა მათი მიზნობრივი გამოყენებისა და სასწავლო შედეგებთან კავშირის წარმოჩენა საჭიროებს მეტად თანმიმდევრულ დასაბუთებას. საერთო ჯამში, სასწავლო რესურსები შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და გამოიყენება სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად.<br>**ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. ასევე, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლები იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით მატერიალურ, აუდიო და ვიდეო რესურსებს. რესურსები მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**რჩევა:** სასურველია, ყველა საგნობრივი მიმართულებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას მრავალფეროვაანი მატერიალური და ელექტრონული რესურსები.<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნობრივ კურიკულუმებში დაწყებით საფეხურზე რესურსების შერჩევა ხდება კათედრის მიერ; პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ასევე აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ესა თუ ის რესურსი რამდენად შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა ზრუნავს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის გამოყენებული მასალები იყოს მაღალი ხარისხის. კათედრის წევრები ერთად ირჩევენ და ამოწმებენ, რომ ეს რესურსები ერგებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და მოსწავლეების საჭიროებებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და სკოლასთან ინტერვიურების შედეგად დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივ კათედრებზე რესურსების შერჩევა და განხილვა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. შერჩეული მასალები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და სასწავლო მიზნებთან.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რესურსების შესაბამისობის განხილვა და შეფასება მიმდინარეობს კათედრაზე, სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე თვალსაჩინო და ელექტრონული რესურსები, რომლებიც თემატურად შეესაბამება სასწავლო მიზნებს. სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა პოზიტიური სასკოლო კულტურისა და საკლასო კლიმატის შექმნას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიურ ჩართულობას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| მათემატიკა | სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება სასწავლო მიზნებისა და კურიკულუმის მოთხოვნების გათვალისწინებით. რესურსების შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მათ შინაარსობრივ შესაბამისობას, პრაქტიკულ გამოყენებადობასა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან შესაბამისობას, თუმცა აღნიშნული პროცედურების სისტემურობა და დოკუმენტირებული ხასიათი სრულად არ იკვეთება. გამოყენებული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვას და მოსწავლეთა გარკვეული უნარების განვითარებას, თუმცა მათი ეფექტიანობის შეფასებისა და შედეგებზე გავლენის ანალიზი საჭიროებს მეტად თანმიმდევრულ წარმოჩენას. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია თანამედროვე საგანმანათლებლო და ტექნოლოგიური მიდგომები, თუმცა მათი ხარისხის კონტროლისა და პერიოდული გადახედვის მექანიზმები მკაფიოდ არ არის წარმოდგენილი. საერთო ჯამში, დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება სასწავლო პროცესის ძირითად მოთხოვნებს და გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მხარდასაჭერად.<br>**ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | ვალიდაციის პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს რესურსების მრავალმხრივ შეფასებას, ხარისხის კონტროლსა და გამოყენების მიზნობრიობას. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ზრდის რესურსების სანდოობას და ეფექტიანობას სასწავლო პროცესში. ამასთან, პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში ახდენენ რესურსების ადაპტირებას კონკრეტული კლასის ან მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, მათ შორის სსმ მოსწავლეთათვის.<br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის საჭირო რესურსი და ინვენტარი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით. რაც განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, კურიკულუმში ნაკლებად არის ასახული რესურსები, განსაკუთრებით V-VI კლასების ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**<br>**რჩევა:**<br>კურიკულუმებში აისახოს დამატებითი სასწავლო რესურსები. |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სასკოლო დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და სასწავლო გარემოთი. საკლასო სივრცეები მოწესრიგებულია და აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსებით. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ მრავალფეროვანი სასწავლო მასალები საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენება |

| | |
|---|---|
| | სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის სკოლა, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ზრუნავს არსებული მატერიალური რესურსების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე. უზრუნველყოფილია საკლასო სივრცეების, ტექნიკური აღჭურვილობის, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო რესურსების ადეკვატური გამოყენება. მასწავლებლების განმარტებით, ყველა მოსწავლე აქტიურად ერთვება მრავალფეროვან აქტივობებში და არსებული რესურსები მუდმივად ხელმისაწვდომია.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| მათემატიკა | დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის სკოლას გააჩნია აღჭურვილი საკლასო ოთახები შესაბამისი ინვენტარითა და ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, ყველა მოსწავლე დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად ხელმისაწვდომია მატერიალური რესურსები, რომლებიც ძირითადად შეესაბამება სასწავლო პროცესის მოთხოვნებს. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და ციფრული რესურსებით, თუმცა მათი გამოყენების ეფექტიანობა და სასწავლო შედეგებთან პირდაპირი კავშირი ყველა შემთხვევაში მკაფიოდ არ იკვეთება. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საქმიანობის |

| | |
|---|---|
| | განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა რესურსების გამოყენების ინტენსივობა და მრავალფეროვნება საჭიროებს მეტად თანმიმდევრულ წარმოჩენას. სასწავლო სივრცე ორგანიზებულია ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ წვდომა საჭირო რესურსებზე და შეუძლიათ სასწავლო აქტივობებში მონაწილეობა, თუმცა რესურსების სრული პოტენციალის გამოყენება არ არის სათანადოდ დასაბუთებული. საერთო ჯამში, არსებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვის ძირითად პირობებს და შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br>**ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით.<br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

**4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლაში დასაქმებული 11 მასწავლებელიდან ერთი წამყვანი და 10 უფროსი მასწავლებელია. 2026 წლის თებერვლის თვიდან მუშაობს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც საგნის მასწავლებლებთან ერთად ახდენს სსსმ მოსწავლისთვის საჭირო მხარდაჭერასა და რესურსების მიზნობრივად გამოყენებას. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მოსწავლეების და მასწავლებლებისთვის საჭირო ბეჭდური რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (Eschool) მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, გარდა ერთი მასწავლებლისა. უცხოური (რუსული) ენის მასწავლებელი ასწავლის კომპიუტერულ ტექნოლოგიებს , რომელსაც არ აქვს დადასტურებული შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია.

**რეკომენდაცია :** სკოლამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ტექნოლოგოების სეტიფიცირებული პედაგოგის აყვანა.

**ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმი 1-6 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- კათედრის ანგარიში;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- უცხოური ენების კათედრის ოქმი
- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების(ინგლისური, რუსული) საგნობრივი კურიკულუმები.
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამოღებული ინფორმაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების გამოკვეთას, პრობლემების გადაჭრასა და აღმოფხვრას, რაც ხორციელდება კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრებით, უკუკავშირისა და რეკომენდაციების გაცემით.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის მინიტორინგი და შეფასება უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კათედრების მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებები, ახდენენ მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს. მასწავლებლები ღებულობენ კონსტრუქციულ, განმავითარებელ უკუკავშირს ხარისხის ჯგუფისგან. ყოველი სემეტრის ბოლოს, კლასის დამრიგებლები, კათედრის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები პედაგოგიური საბჭოს წარუდგენენ და ისმენენ შემაჯამებელ ანგარიშს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლას აქვს გამოცდილება, რომ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით გამოკვეთოს პრობლემები, კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, დაადგინოს საჭიროება და მოახდინოს ეფექტური უკუკავშირი. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განსაზღვროს პრობლემის მოგვარების გზები და საშუალებები. გასაუბრებისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ურთიერთდასწრების კომპონენტი, კათედრის შეხვედრები და იმის განხილვა, თუ რა განხორციელდა წარმატებით,რა უნდა დაიგეგმოს განსხვავებულად, როგორ გააუმჯობესონ სუსტი მხარეები და როგორ განამტკიცონ ძლიერი მხარეები. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა და სკოლის დირექციამ აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან მხარი დაუჭირონ ერთმანეთს და ურთიერთთანამშრომლობით გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართოს მშობლები, რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ-სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლის თვითშეფასება;
- ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირის ფორმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები;
- კათედრის სხდომის ოქმები

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ინტეგრირებულად, სისტემური მიდგომით და ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. შეფასება მოიცავს სწავლა-სწავლების პროცესის ყველა დონეს: ინდივიდუალური კონტექსტი – მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების და პროგრესის ანალიზი; კლასის დონე – კონკრეტული საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასება; სკოლის დონე – მთლიანად სასწავლო პროცესის შესაბამისობა სასკოლო კურიკულუმთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრები შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, როგორიც არის: გაკვეთილზე დასწრება, ურთიერთდასწრება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება და უკუკავშირის ფორმა მოსწავლეებისგან. მოსწავლეების შეფასებისთვის იყენებენ შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეების მიერ შექმნილ სასწავლო პროექტებს. მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, მშობელთა ჩართულობისა და უკუკავშირის კითხვარები ადასტურებს, რომ შეფასების პროცესებში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება: მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაცია რაც მათთან გასუბრების პროცესშიც გამოიკვეთა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. შემუშავებული შეფასების რუბრიკები მოიცავენ სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა უნარების შეფასებას: კრიტიკული აზროვნება, პასუხისმგებლობა, შემოქმედებითობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება. შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა აქტივობებსა და პროექტებში არა მხოლოდ სკოლის, არამედ რაიონის მასშტაბით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებისას იყენებს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემების შეგროვების ვალიდურ მეთოდებს. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის გამოიყენება წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკები. მონაცემთა შეგროვება (ფოკუს-ჯგუფები, მასწავლებელთა ფოკუსირებული დაკვირვების სქემები) და მისი ანალიზი საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს სასწავლო პროცესი, რათა მოსწავლეებისთვის უფრო მეტად საინტერესო გახდეს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებისას მოსწავლის აკადემიურ მოსწრებისთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კლასის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა და მათთან თანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;
- შემაჯამებელი დავალებები;
- ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტოები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლა სასკოლო კურიკულუმის რევიზიისას დეტალურად აანალიზებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დინამიკას, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, სასწავლო მასალების ეფექტიანობისა და ვალიდობის მონაცემებს. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, კომპლექსური დავალებების განხორციელებისას გამოვლენილი გამოწვევები და სასკოლო საზოგადოებიდან მიღებული უკუკავშირი. შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ხდება მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინება, რაც გულისხმობს სასწავლო მასალების გადახედვას , მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესის მოდიფიცირებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სსიპ-სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთის საჯარო სკოლის თვითშეფასება;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი : 22 .07.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:/ნინო შიუკაშვილი?

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაია ბერიანიძე

ხათუნა ფანცულაია

ქეთევან ბორაშვილი

მაკა გიორგბერიძე

ნონა ლაგვილავა

მეგი კაპანაძე

ნათია იასაღაშვილი

მანანა სეხნიაშვილი

ნათია ორმოცაძე

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი – ლელა მანგოშვილი